

კანონის
უზენაესობა
სამართლიანობისთვის

2018

წლიური ანგარიში



გამოცემაზე პასუხისმგებელი: ირმა პავლიაშვილი, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018



2018
წლიური აგმარობი



Kingdom of the Netherlands

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

SIGRID RAUSING TRUST



USAID
ამერიკელი ხალხისგან



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE

EHRAC



CAUCASUS

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამთავალაქო საზოგადოების განვითარებისა
და მომალეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

**Brot
für die Welt**

Bread for the World –
Protestant
Development Service



ლია
საზოგადოების
ფონდი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Norwegian Embassy



British Embassy
Tbilisi



EQUAL RIGHTS TRUST

სარჩევი

ენისნიცყვაობა	4
საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შეფასება	8
საერთაშორისო ორგანიზაციებში წარდგენილი ანგარიშები	12
თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები: საქანომდებლო და პრაქტიკული გამოწვევები	15
თვითმმართველობა	25
საპარლამენტო საქმიანობა და სიახე ქანონებომოქმედებით პროცესში	26
სასამართლო	29
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	33
წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა	35
დამოუკიდებელი საგამოძიებო მეთანიზმი	38
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო	40
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	44
ქალთა უფლებები	47
ბავშვთა უფლებები	50
მედიკარემო და ჟურნალისტთა უფლებები	51
ანტიკორუფციული საქმიანობა	54
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში	57
ბარემოს დაცვა	58
ღია მმართველობა	61
ICHANGE.GOV.GE	63
სიახე უფლებების დასაცავად	67
სტრატეგიული სამართალწარმოება	70
ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია	76
კვლითიუხიური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება	82
ინანსური ანგარიში	90



ძვირფასო წევრებო!

წელს პირველად მაქვს პატივი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის სტატუსით მოგესალმობთ და გითხრათ, რომ ეს ერთი წელი, პატივთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის.

ყველგან, სადაც ვიბრძოდით, ყველა, ვისაც ვეიმედებოდით და ყველაფერი, რასაც მივალნიეთ მთელი წლის განმავლობაში, იმ გუნდის დამსახურებაა, რომელიც დღეს საიას წარმოადგენს. ხშირად საიელები ენთუზიაზმის და გათენებული ღამეების ხარჯზე ვაღწევთ წარმატებას. ხშირად იმ უთანასწორო ბრძოლაში შევდივართ, რომლის ბედიც წინასწარ გადაწყვეტილია, მაგრამ ჩვენ ხომ საია ვართ და სხვაგვარად არ შეგვიძლია.

ვიცი, ბევრ თქვენგანს, რომლებიც ამ სიტყვებს კითხულობთ, საიაში თქვენი საქმიანობის თვეები თუ წლები გაგახსენდებათ.

ისიც ვიცი, რომ არაფერს ახალს და განსაკუთრებულს არ ვამბობ. უბრალოდ, იმის აღნიშვნა მინდა, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, იმ საიელების დამსახურებაა, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ეს ორგანიზაცია და დღეს ჩვენ გამოგვიცხადეს ნდობა.

ტრადიციულად, ბევრი საინტერესო მოვლენის, ბევრი გამოწვევის და ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლის მორიგი ერთი წელი იყო 2018. და მაინც, ეს წელი სხვა მხრივაც იყო გამორჩეული ჩვენთვის. წელს პირველად დავინწყეთ საიას ორგანიზაციული მონყობის რეფორმა, რომელიც არაერთი მიზეზის გამო გახდა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი. წელს პირველად ვცადეთ ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში წევრებთან შეხვედრების ორგანიზება და იმის ახსნა, თუ რატომ დადგა დღის წესრიგში ორგანიზაციული მონყობის განახლება. გვინდა, რომ ახალი ორ-

განიზაციული მონყობის პარალელურად, ბევრად ხშირი და უკეთესი ურთიერთობა გვექონდეს თქვენთან, საიას წევრებთან.

საიას ორგანიზაციული მონყობის მიღმა კი იყო არაერთი შეხვედრა, კონფერენცია, სემინარი და პრეზენტაცია ადამიანის უფლებების, ინსტიტუციების დემოკრატიზაციის, გამჭვირვალობის და კარგი მმართველობის მიმართულებით; წარმატებით დასრულებული სასამართლო საქმეები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე; საიას შესანიშნავ გუნდთან ერთად მომზადებული სადამკვირვებლო მისია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე; საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის წარდგენილი ანგარიშები და მიმდინარე წლიდან განახლებული საიას მედიის დახმარების ცენტრი.

ცალკე უნდა აღინიშნოს საიას იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელიც წლებია უკვე ერთგვარი სავიზიტო ბარათია, ისევე როგორც ჩვენი რეგიონული ოფისები, რომლებიც ყოველთვის იქ არიან, სადაც საიას ადგილია.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმართულებით განეული საქმიანობა; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის მიზნით წარმოებული კამპანია; ქალთა უფლებების დაცვა; ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. წელს პირველად, განსხვავებული ფორმატით დავინწყეთ მუშაობა გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. გავაძლიერეთ საიას საქმიანობის საპარლამენტო მიმართულება. ვაგრძელებთ კვალიფიციური იურიდიული განათლების კუთხით საქმიანობას და ველით მორიგ სიახლეებს.

რა თქმა უნდა, 2018 წელს არაფერი დასრულებულა. რა თქმა უნდა, წინ ბევრი საქმე და უძილო ღამე გველოდება. ვიცით და გვნამს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის, დამოუკიდებელი სასამართლოს და სამართლიანი სამართალდამცავი ორგანოების გარეშე შორს ვერ წავალთ. ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია, ისეთივე მნიშვნელოვანი როლი შევასრულოთ საქართველოს უკეთესი მომავლის შენების გზაზე, როგორც არაერთი წელია ვაკეთებთ ამას.

2019 წელს საიას დაარსებიდან 25 წელი შესრულდება. დრო სწრაფად გადის. პირველი საიელების შემდეგ არაერთი თაობა მოვიდა ორგანიზაციაში და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება. ოღონდ ერთი რამ ყოველთვის უცვლელი იყო, არის და იქნება. ის ერთი – საიაა.

პატივისცემით,

სულხან სალაძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე



საიან ოფისების დაარსების წლები:

თბილისის ოფისი - 1994 წელი
აჭარის ფილიალი - 1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი - 1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი - 2002 წელი
ღუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუბლიძის ოფისი - 2014 წელი




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2015-2019 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2018 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2017 წლის 1 ნოემბერი – 2018 წლის 1 ნოემბერი).

ჩვენი ღვაწი

კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის





საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შეფასება

საქართველოში 2016 წელს დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმის ირგვლივ მსჯელობა და პროცესის მონიტორინგი პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა 2017 წელს და აქტიურად გაგრძელდა 2018 წელსაც. გასულ საანგარიშო პერიოდში საიამ საკონსტიტუციო რეფორმის პირველადი შეფასება წარმოადგინა, თუმცა, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა კონსტიტუციის გადასინჯვის მთლიანი პროცესის შეფასება/ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა.

კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი, წარმოადგენს სახელმწიფოებრივი განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს და საზოგადოების დემოკრატიულობის ძირითად მაჩვენებელს.

შესაბამისად, ცალსახაა, რომ ამ მიმართულებით წარმართული ნებისმიერი პროცესი განსაკუთრებით აქტუალურია, მნიშვნელოვანია განვითარებული მოვლენებისა და გამომდინარე დასკვნების ანალიზი და საერთო სურათის შეფასება.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრობის სტატუსმა საიამ შესაძლებლობა მისცა, უშუალოდ დაკვირვებოდა მიმდინარე პროცესებს და, დამატებით მოძიებულ ინფორმაციასთან ერთად, დაინტერესებული საზოგადოებისთვის უფრო სიღრმისეულად წარმოედგინა დაკვირვების საბოლოო შედეგები და მათი ანალიზი.



ინფორმაციის შესწავლამ და რეფორმის მიმდინარეობის მთლიანი სურათის შეფასებამ ცხადყო, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი არსებითი ხარვეზებით წარიმართა, რამაც, ერთი მხრივ, შეუძლებელი გახადა ქვეყნის უზენაეს კანონზე საერთო კონსენსუსის მიღწევა, ხოლო, მეორე მხრივ, თავად კონსტიტუციური კანონის პროექტის ტექსტი არაერთი აქტორის, მათ შორის, ვენეციის კომისიის კრიტიკის საგნად აქცია.



კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესის ნაკლოვანი მხარეები დამახასიათებელი იყო როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის, ასევე, საყოველთაო - სახალხო და საპარლამენტო განხილვების ეტაპებისთვის.



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან მიმართებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტიტუციის ცვლილებაზე მუშაობისთვის განსაზღვრული **არაგონივრულად მცირე დრო**, რომელიც საწყის ეტაპზე გამოირიცხავდა სათანადოდ დამუშავებული და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, განსაკუთრებით, მუშაობის სუფთა ფურცლიდან დაწყების პირობებში.



არსებითად პრობლემურ გარემოებას წარმოადგენდა **სამუშაო ჯგუფებში გადაწყვეტილების მიღების წესის არარსებობა**, რამაც ფასადურად აქცია მიმდინარე განხილვები და შექმნა ასპარეზი საპარლამენტო უმრავლესობის ინტერესებს მორგებული კანონის პროექტის შესამუშავებლად.

გარკვეული კრიტიკიები არსებობდა, როგორც, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შიდადგენლობის მიმართაც. კერძოდ:



ამ დრომდე გაურკვეველი დარჩა, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით განხორციელდა კომისიის წევრი არასამთავრობო სექტორისა და საექსპერტო სფეროს წარმომადგენლების შერჩევა.



უცნობია, რატომ არ მოხდა ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენება ინფორმაციული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად.



არსებითად ნეგატიურად შეფასდა, კანონის მოთხოვნათა სრული იგნორირებით, ოპოზიციური პარტიების ამოირიცხვა საკონსტიტუციო კომისიის შიდადგენლობიდან, რასაც, ცხადია, გავლენა ჰქონდა კომისიის დასკვნითი სხდომის საბოლოო კენჭისყრის შედეგებზე.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის ნაკლებობა, ასევე, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განვითარებული არასაგნობრივი და შეურაცხმყოფელი მსჯელობები, ცხადია, არსებითად აკნინებდა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ესოდენ მნიშვნელოვან პროცესს.

კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესისთვის დამახასიათებელ არანაკლებ დესტრუქციულ ნაწილს წარმოადგენდა დაპირისპირება საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომისიაში მონაწილეობაზე უარის თქმით დაიწყო და თან სდევდა კონსტიტუციურ ცვლილებებზე მუშაობის მთელ პროცესს.

საყოველთაო-სახალხო განხილვები

პრობლემები დაფიქსირდა კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვების დროსაც, კერძოდ: არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა, საყოველთაო სახალხო განხილვების წინასწარ შედგენილი გრაფიკის დაგვიანებით გამოქვეყნება, პოლიტიკური პარტიის აქტივისტებისა და საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მობილიზება, განხილვების სასურველი მიმართულებით წარმართვის მცდელობა. აღნიშნულმა შექმნა განცდა, რომ პროცესი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მისი მიზანი არ იყო საზოგადოებრივი აზრის რეალურად მოსმენა და გათვალისწინება.

საპარლამენტო განხილვები

საპარლამენტო განხილვების კუთხით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტის ორი მოსმენით მიღება უაღრესად სწრაფ რეჟიმში, რამაც გამორიცხა საერთო კონსენსუსის მიღწევის პრაქტიკული შესაძლებლობა. გარდა ამისა, განხილვებში მონაწილეობით დაინტერესებულ საზოგადოებას არ მიეცა ვენეციის კომისიის მოსაზრებების ჯეროვანი გაანალიზებისა და, მათ საფუძველზე, საკუთარი პოზიციების ფორმირების საშუალება.

საპარლამენტო განხილვების ჩრილში, არსებითად ნეგატიურ ასპექტს წარმოადგენდა კანონპროექტის პირველ მოსმენამდე საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროპორციული საარჩევნო სისტემის ამოქმედების გადავადებასთან დაკავშირებით, რამაც საყოველთაო თანხმობის საფუძველი გამოაცალა მიმდინარე პროცესებს და, პრაქტიკულად, ყველა დაინტერესებული პირის გამოთიშვით დასრულდა. მაღალი პოლიტიკური პოლარიზების ფონზე კი, მოსახლის პოვნა ვენეციის კომისიის აქტიური ჩართულობითაც ვერ მოხერხდა.

ამ დრომდე უცნობი დარჩა, თუ რამ განაპირობა ახლად დამტკიცებულ კონსტიტუციაში დამატებითი ცვლილებების შეტანის საჭიროება მაშინ, როდესაც არსებობდა სათანადო კორექტირების პირველად ეტაპზე განხორციელების პროცედურულ-სამართლებრივი შესაძლებლობა. დამატებითი ცვლილებების შინაარსობრივ მხარესთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს თვისობრივად ახალი საკითხების დამატების ნეგატიური მხარე, რამაც, ერთი მხრივ, აზრი დაუკარგა განვლილ პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყო კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში ისეთი ინიციატივების ასახვას,

რომლებთან დაკავშირებითაც, მსჯელობისა და გააზრებისთვის საკმარისი დროის უქონლობის გამო, კვლავ არსებობდა გარკვეული ბუნდოვანება საკითხით დაინტერესებულ პირებს შორის.

ვენეციის კომისიის დასკვნა

საქართველოს ხელისუფლებამ ვენეციის კომისიის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაითვალისწინა. თუმცა, მიუხედავად დამატებითი ცვლილებების ინიცირებისა, კვლავ დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომლებიც არ აისახა კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის გადამუშავებული ტექსტი უდავოდ აერთიანებს არაერთ პოზიტიურ ინიციატივას და ბევრი მიმართულებით შეიძლება ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად. თუმცა, კანონპროექტზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე დაშვებული შეცდომების შედეგად, ქვეყნის უზენაესი კანონი ნულოვანი კონსენსუსის პირობებში, მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის გადანყვეტილებით დამტკიცდა. აღნიშნულმა კი, ცხადია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მიღებული სამართლებრივი აქტის ლეგიტიმურობა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ყველა ის გაუმჯობესება, რომელიც კონსტიტუციური კანონის საბოლოო ტექსტში აისახა.



საერთაშორისო ორგანიზაციებში წარდგენილი ანგარიშები




მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არაერთი ანგარიში წარადგინა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების საბჭოში წარდგენილი კოალიციური და ინდივიდუალური ანგარიშები, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელოვან თემას შეეხებოდა, აგრეთვე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისში გაგზავნილი ანგარიში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)

ანგარიშებში განხილულია საქართველოსთვის, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის, სამართლებრივი ჩარჩოსა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

კოალიციური ანგარიში მომზადდა კოალიცია „თანასწორობისთვის“ ფარგლებში და საიამ, ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლთან“ ერთად, იმუშავა ეთნიკური, რასობრივი და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის თავზე.

რაც შეეხება საიას მიერ წარდგენილ ინდივიდუალურ ანგარიშს, ის აერთიანებს მართლმსაჯულების, ქალთა უფლებების (პოლიტიკური მონაწილეობა, ოჯახში ძალადობა), მედიის თავისუფლების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებს. ანგარიშში აღნიშნულია ის მნიშვნელოვანი მიღწევები, რომლებიც კარგი მმართველობის და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა, იმავდროულად, საუბარია გამოწვევებსა და პრობლემებზე, რომლებზეც კვლავ უნდა გაგრძელდეს მუშაობა.



ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:



სამართალდაცვების მიერ ჩადენილი **დანაშაულის გამოძიების** დამოუკიდებელი და ეფექტური **მექანიზმის** სრულყოფა;



წაშლის და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის ადევნებული **რეპარაციული სისტემის** შექმნა;



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის **გამჭვირვალობისა და საჭაროობის** დაბალი ხარისხი;



დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და **კონსტრუქციული მედიის** არსებობის აუცილებლობა;



ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად პასუხისმგებელი **სოციალური მუშაკებისათვის** გამოყოფილი **ბიუჯეტის გაზრდა**;



სავალდებულო **გენდერული კვების** შემოღების აუცილებლობა;



სტამბოლის კონვენციის მოთხოვნების მიხედვით **სამსუაღრობის** ძალადობის დასაბრუნება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისში წარდგენილ ანგარიშში განხილულია ინფორმაცია 2017 წელს მომხდარი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ. ანგარიშში მოხვდა ერთი ფაქტი, რომელიც უკავშირდებოდა ქალაქ ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წევრების – ლევან ბერიანიძის

და თორნიკე კუსიანის – მიმართ ჰომოფობიური მოტივით ჩადენილ ძალადობრივ ქმედებას. საია დაზარალებულ პირთა ინტერესებს იცავს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების საბჭო, ასევე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი თავიანთ

ანგარიშებში, სხვა წყაროებთან ერთად, დაეყრდნობიან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებულ ალტერნატიულ ანგარიშებში მითითებულ ინფორმაციას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მომავალშიც ტრადიციულად გააგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის, რეკომენდაციების შესრულების პროგრესისა და, ზოგადად, სამართლებრივი სფეროს სხვადასხვა ასპექტის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიმართულებით.



თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები: საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის მიმართულებით, აგრეთვე, დააქვეყნა 2018 წლის საქართველოს კრედიტინგის არჩევნებს, შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს ვანსა და ხონში და საქრეშულს შუალედურ არჩევნებს ზუბლიდში.

საანგარიშო პერიოდში საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან – „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ ერთად, აქტიურად მუშაობდა საკანონმდებლო ცვლილებებზე. მომზადდა რეკომენდაციების ორი პაკეტი, რომელიც მოიცავდა საარჩევნო კოდექსს, ასევე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს და მიზნად ისახავდა ორგანიზაციების მიერ საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შედეგად პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას. აღნიშნული რეკომენდაციების პარლამენტში წარდგენამდე მათი განხილვა მოხდა საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვადასხვა აქტორსა და დაინტერესებულ ჯგუფთან. განხილვის პროცესში გაანალიზდა 2016-2018 წლების საარჩევნო



ციკლის დროს გამოვლენილი გამოწვევები საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში არსებული პრობლემები. დაიგეგმა ნაბიჯები, თუ რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა 2020-2021 წლების საარჩევნო პერიოდისთვის.

საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საიას მიერ მომზადებული საარჩევნო რეკომენდაციები ისეთ მნიშვნელოვან თემებს მოიცავდა, როგორცაა:

- პოლიტიკური პარტიების დაჯინანება
- წინასაარჩევნო აგიტაცია და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება
- საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება
- საარჩევნო დავები
- ბალანსირებული ყუთის სია

რეკომენდაციებზე მუშაობის პარალელურად, ორგანიზაციამ საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინა ცესკოს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზეც. კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული გარკვეული ცვლილებები იყო ცალსახად პოზიტიური, თუმცა, ზოგიერთ მათგანს შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოზე. ასეთი იყო, მაგალითად, ცვლილება, რომლის თანახმად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა წინასაარჩევნო აგიტაციად აღარ მიიჩნეოდა, ასევე, ცვლილებები, რომელთა მიღების შემთხვევაში იზრდებოდა კანონდამრღვევი კომისიის წევრების საარჩევნო ადმინისტრაციებში დასაქმების პერსპექტივა და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით საიამ, პარტნიორებთან ერთად, მოსაზრებები შეიმუშავა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა.



ცესკოსთან, ასევე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან განხილვებისა და დისკუსიის შემდეგ, ამ უკანასკნელმა საიას რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გაიზიარა.

შუალედური საპარლამენტო არჩევნები ვანსა და ხონში

საკრებულოს არჩევნები ზუგდიდში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საანგარიშო პერიოდში დააკვირდა შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს ვანსა და ხონში, ასევე, საკრებულოს არჩევნებს ზუგდიდში.

ორივე არჩევნების შემთხვევაში კენჭისყრის პროცესი ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და ადგილი არ ჰქონია ძალადობის ფაქტებს.

პრობლემა, რომელიც ვანსა და ხონში გამოიკვეთა, ეხებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადასატანი ყუთის სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საკითხს. კერძოდ, დაირღვა გადასატანი ყუთის სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი 3%-იანი ზღვარი.

ზუგდიდის საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ელექტრონული საშუალებით ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების საპილოტე პროგრამა. უბნებზე მოხდა ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატების გამოყენება, რაც საქართველოსთვის სიახლეს წარმოადგენდა და, შესაძლოა, მომავალში ელექტრონულად ხმის მიცემისა და დათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს.

მართალია, პროცესში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა, თუმცა, საერ-

თო ჯამში, ელექტრონული საშუალებით ხმის დათვლის პროცესმა წარმატებით ჩაიარა. კენჭისყრის შედეგები კენჭისყრის დასრულებიდან მალევე გახდა ცნობილი, რამაც საარჩევნო უბნებზე ტრადიციული დაძაბულობა განმუხტა.

საია მიესალმება ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. ორგანიზაცია მხარს უჭერს კენჭისყრის პროცედურების გამარტივებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას საარჩევნო უბნებზე, მათ შორის, ხმების დათვლას ელექტრონული წესით.

2018 წლის საკრებულო არჩევნები

საიამ 2018 წლის საკრებულო არჩევნების წინასაარჩევნო ბარემოს მონიტორინგი, 1-ლი აბჰის-ტოდან 28 ოქტომბრამდე პერიოდში, საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის დახმარებით – დედაქალაქსა და რეგიონებში: აჭარაში, გურიში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში – 20-მდე მონიტორინგ მეთოდით განახორციელა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, წინასაარჩევნო კამპანია წარემართათ კონკურენტუნარიან გარემოში და ამომრჩევლისთვის წარედგინათ საკუთარი პროგრამები და დაპირებები – მათთან



უშუალოდ შეხვედრების გზით. თუმცა, კამპანიას არ ჩაუვლია აგიტაციაში ხელშეშლის, სიძულვილის ენისა და ქსენოფობიური განცხადებების გარეშე. 2016-2017 წლების მსგავსად, კვლავ აქტუალური იყო ფარული ჩანაწერების გავრცელება.

სიძულვილის ენისა და პირადი შეურაცხყოფის ტირაჟირებას ადგილი ჰქონდა სოციალური ქსელების საშუალებითაც, რომელიც მიმართული იყო როგორც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისკენ. ცრუ ინფორმაცია ვრცელდებოდა facebook-ის სხვადასხვა დასპონსორებული გვერდიდან/ანგარიშიდან. ამ გვერდების დამფინანსებლების და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველმა საქართველოს პრეზიდენტი პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩია. 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია შეცვალა და საქართველოს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა დაადგინა.

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები წინა პრეზიდენტის არჩევნებისგან განსხვავებულ რეჟიმში წარიმართა, ვინაიდან, პირველად საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო ისტორიაში, მმართველმა პარტიამ („ქართულმა ოცნებამ“) საკუთარი კანდიდატი არ დაასახელა და მხარი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატს – სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა. საარჩევნო ადმინისტრაციას არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, ჯამში, 46-მა საარჩევნო სუბიექტმა/საინიციატივო ჯგუფმა მიმართა და პრეზიდენტობის კანდიდატი წარადგინა. საბოლოოდ, რეგისტრაცია 25-მა მათგანმა გაიარა.

კენჭისყრის დღე, 28 ოქტომბერი, საქართველოს პრეზიდენტმა 2018 წლის 1-ლ აგვისტოს გამოაცხადა, ხოლო წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციები, საარჩევნო კოდექსის თანახმად, 29 აგვისტოდან ამოქმედდა. ამ პერიოდში კიდევ უფრო პოლარიზებული გახდა მედია. მედიასაშუალებებით გავრცელებული წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამით ხდებოდა ქსენოფობიური მოწოდებებისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების ტირაჟირება.

საკრეზიდენტო არჩევნებზე საიას ღამკვირვებლებმა დააფიქსირეს შემდეგი დარღვევები:

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

უკანონო აგიტაცია

სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვა

ფიზიკური დაპირისპირება

კანდიდატებისთვის წინასაარჩევნო შეხვედრებში ხელშეშლა

სააგიტაციო მასალების დაზიანება

ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა

სავარაუდო ზენოლა

უკანონო შემოწირულობა



ტენდენციად გამოიკვეთა ე.წ. „ტექნიკური კანდიდატების“ დასახელება, რომლის მიზანი არა არჩევნებში გამარჯვება, არამედ კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერა და საარჩევნო სუბიექტებისთვის დამატებითი რესურსის (დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სარეკლამო დრო) მოპოვება იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო პროცესებში ჩართული უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, უწყებათაშორისი და კომუნიკაციების ეროვნული კომისია) მხრიდან დესტრუქციული, არაკოლეგიალური, დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებული განცხადებების კეთების ტენდენცია არასამთავრობო სექტორის, განსაკუთრებით კი – სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ. ამან შექმნა საფუძველი ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის მიზანმიმართულ მცდელობას და მათზე ზეწოლას. აღნიშნულთან დაკა-

ვშირებით ყურადღება გაამახვილეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრებმაც და ხაზი გაუსვეს სამოქალაქო სექტორის წვლილს და მათ მნიშვნელობას დემოკრატიული პროცესების განვითარებაში.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ გამოაქვეყნა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც ორგანიზაციამ წარმოადგინა ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიებში დროებით არჩეული პირების შესახებ, კერძოდ, მათი ნათესაური კავშირებისა და პოლიტიკური მიკერძოებულობის თაობაზე. სწორედ აღნიშნული ანგარიში გახდა საიაზე თავდასხმის საფუძველი როგორც ცესკოს თავმჯდომარის, ისე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის (იუსტიციის მინისტრის) მხრიდან, რითაც პირველ შემთხვევაში დაირღვა „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი“, ხოლო მეორე შემთხვევაში – საარჩევნო კოდექსით დადგენილი მანდატის ფარგლები.

კენჭისყრის დღე


საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დღის მონიტორინგი თბილისსა და 9 რეგიონში – კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, იმერეთსა და აჭარაში განახორციელა. სადამკვირვებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო: წინა არჩევნების დროს გამოკვეთილ პრობლემურ უბნებზე; ეროვნული უმცირესობებითა და იძულებით გადაადგილებული პირებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებზე; საუბნო საარჩევნო კომისიების გარე პერიმეტრზე განვითარებულ მოვლენებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საქმიანობაზე (შს მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების შესრულების თვალსაზრისით). გარდა ამისა, საია აკვირდებოდა მდგომარეობას ინკლუზიური საარჩევნო

გარემოს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების რეალიზების კუთხით. პრიორიტეტული იყო, ასევე, ქალი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი.

არჩევნების დღეს საიას თბილისისა და 8 რეგიონის ოფისებში ფუნქციონირებდა საინფორმაციო შტაბი, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლები საარჩევნო-ანალიტიკურ ბაზაში რეალურ დროში აგროვებდნენ და ანალიზებდნენ ინფორმაციას – საქართველოს ყველა რეგიონში წარგზავნილი დამკვირვებლებისა და ანალიტიკოსების მეშვეობით.

კენჭისყრის დღეს ცენტრალურ შტაბში, თბილისში, ვიზიტით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაქენზი სმითი, რომელიც ადგილზე გაეცნო ასოციაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგიასა და მიმდინარე პროცესს.





არჩევნების დღეს საიაში მუშაობდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს და ჟურნალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ სამართლებრივი კონსულტაცია კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით.

მთლიანობაში, კენჭისყრის პროცესმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა, ნება თავისუფლად გამოეხატა. საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, კენჭისყრის პერიოდში (08:00-20:00სთ) იდენტიფიცირებულ დარღვევებს მნიშვნელოვანი გავლენა კენჭისყრის პროცესზე არ მოუხდენია. მთელი დღის განმავლობაში მაღალი იყო ამომრჩევლის მობილიზებისა და მისი ნების სავარაუდო კონტროლის ფაქტები. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, რომელმაც საარჩევნო უბანზე დაარეგ-

ულირა ამომრჩევლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების საკითხი, რეგულირების მიღმა რჩება უბნის გარეთ აღნიშნული ქმედების განხორციელების შემთხვევები. საია, წლებია, აფიქსირებს ამ მანკიერ პრაქტიკას, რომელიც შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლის და მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შემთხვევები აქტუალური ხდება არა მხოლოდ კენჭისყრის დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდშიც.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაფიქსირდა არსებითი ხასიათის დარღვევები, მათ შორის, ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტი, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, აგრეთვე, უბნიდან საარჩევნო ბიულეტენის გატანისა და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები.

ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ეტაპზე, რიგ შემთხვევებში (მარნეულის, ჩუღურეთის, მთანმინდის ოლქებში), საიას დამკვირვებლებს შეექმნათ შეფერხება უბანზე 20:00 საათის შემდგომ შესვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებმა ისინი შენობაში არ შეუშვეს. შესაბამისი უბნების კომისიის თავმჯდომარეების ჩარევის შემდეგ, პრობლემა აღმოიფხვრა და საიას დამკვირვებლებს შესაძლებლობა მიეცათ, პროცესს დაკვირვებოდნენ. ერთეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებებს.

არჩევნებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მთელი რიგი საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რომელთა გადწყვეტა სისტემურ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს საჭიროებს, მათ შორის, საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო დოკუმენტაციის ჩაბარების წესისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით, რათა უბნებიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის ჩაბარების პროცესი მიმდინარეობდეს ერთიან სივრცეში და არ ატარებდეს ქაოსურ ხასიათს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, გამჭვირვალობის სტანდარტის და, მეორე მხრივ, დაკვირვების შესაძლებლობის გაზრდას.

2016-2018 წლების საარჩევნო სიკლის ანალიზი

საანგარიშო პერიოდში საიამ გააანალიზა და შეაფასა 2016-2018 წლების საარჩევნო ციკლი, თუ რა გამოწვევები რჩება ქვეყანაში საარჩევნო/პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამართლიანი, თავისუფალი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შესაქმნელად. ამ მიზნით, ორგანიზაციის წარმომადგენლები სწავლობდნენ და აკვირდებოდნენ:

- სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს პოლიტიკურად აქტიური ან მათთან დაკავშირებული პირების მიმართ;
- საიასა და სხვა სუბიექტების მიერ წარმოებულ საარჩევნო დავებს;
- ინკლუზიურ საარჩევნო გარემოს – თუ რამდენად თანაბარი და ხელშემწყობი გარემოა შექმნილი ქალთა, შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების რეალიზებისთვის.

სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების მონიტორინგი. სისხლის სამართლის საქმეებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მათ უმეტესობაში (ჯამში, დაკვირვება წარმოებს 25 საქმეზე) პრობლემას წარმოადგენს გამოძიების გაჭიანურება. ზოგიერთი დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დროის გასვლასთან ერთად იკლებს სრულყოფილი გამოძიების ჩატარების შესაძლებლობა (იკარგება გარკვეული მტკიცებულებები, მონმეებს, შესაძლოა, დაავიწყდეთ საქმისათვის მნიშვნელოვანი დეტალები და ა.შ.).

ობიექტური, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების თვალსაზრისით, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შემდეგი საკითხები:

- მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად უნდა დაიწყო გამოძიება, სამართალდამცავი ორგანოები კვლავ აგრძელებენ მანკიერ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ტარდება ე.წ. „წინასაგამოძიებო შემონმება“ ან „წინასწარი მოკვლევა“;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა შესაძლებლობას, სასამართლოში გასაჩივრდეს გად-



ანვეტილება გამოძიების არდანყების შესახებ;

- სამართალდამცავი უწყებები პრაქტიკაში კვლავ უარს ამბობენ დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენაზე;
- საარჩევნო საკითხებთან კავშირის არსებობის შემთხვევაში, გამოძიება კვლავ დაუსაბუთებლად ჭიანურდება, რაც ხელს უშლის დამნაშავე პირთა გამოვლენასა და პასუხისმგებლობის მიცემას. ამასთან, არაეფექტური გამოძიება გზას უხსნის დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებას.

საარჩევნო დავების მონიტორინგი. საიას მიერ საარჩევნო დავების წარმოებისა და სხვა სუბიექტების საარჩევნო დავების მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა პრობლემები საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სასამართლოების მხრიდან რიგი ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მიუხედავად კანონმდებლობის დარღვევის დადასტურებისა, საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლოები, იმ მოტივით, რომ დარღვევას შედეგებზე არსებითი გავლე-

ნა არ მოუხდენია, არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა ან უბნების შედეგების გადათვლის თაობაზე და მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლებოდნენ. საარჩევნო ადმინისტრაციების განკარგულებები არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას და მტკიცებულებები არ იყო სრულყოფილად გამოკვლეული/შეფასებული. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა კვალიფიკაციის პრობლემასაც. ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლედ გამწესებამდე მოსამართლეობის კანდიდატები არ გადიან საარჩევნო სპეციალიზაციის კურსს, რაც განაპირობებს მათ დაბალ კვალიფიკაციას საარჩევნო დავების სპეციფიკასთან მიმართებით.

ინკლუზიური საარჩევნო გარემო. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა საქართველოში ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შესაქმნელად, თუმცა, ხელშესახებ პროგრესს ქვეყანამ ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ვერ მიაღწია. კვლავ დაბალია პოლიტიკა-





ში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი. საკონსტიტუციო ცვლილებების მიუხედავად, რომელიც ქალისა და კაცის არსებითი თანასწორობის პრინციპზეა აგებული, მმართველმა პარტიამ ჩააგდო ინიცირებული პროექტი გენდერული კვოტირების, როგორც დროებითი სავალდებულო ზომის, დანესების შესახებ.

პრობლემად რჩება საარჩევნო/პოლიტიკურ პროცესებში შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, არაადაპტირებული გარემო, საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური ჩართულობის ზრდისკენ მიმართული კომპლექსური პოლიტიკის არარსებობა, ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების არასაკმარისი კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე, მედიასაშუალებებში პოლიტიკური პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის ზრდაზე ორიენტირებული საინფორმაციო პოლიტიკის არარსებობა.

2016-2018 წლების საარჩევნო ციკლისა და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი გვაჩვენებს, რომ სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნის თვალსაზრისით ქვეყანაში ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები, კერძოდ:

- ხელისუფლებას არ აქვს მნიშვნელოვანი საარჩევნო ცვლილებების განხორციელების პოლიტიკური ნება;
- კვლავ დაბალია საარჩევნო/პოლიტიკურ პროცესებში ქალების, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირების ჩართულობა;
- გაუარესდა საარჩევნო კომისიების და კომპლექტების წესი. ნაცვლად ერთი დანიშნული წევრისა, პოლიტიკურ

გაერთიანებას შეუძლია, ერთზე მეტი წევრი დანიშნოს საარჩევნო კომისიაში და ეს უფლება დაკავშირებულია პარტიის მიერ საპარლამენტო არჩევნებზე ნაჩვენებ შედეგებთან. ამ მხრივ, უპირატეს მდგომარეობაშია მმართველი პარტია, რომელსაც საარჩევნო კომისიებში, ყველა დონეზე, 6-დან 3 წევრი ჰყავს დანიშნული;

- დიდი უთანასწორობაა პოლიტიკურ პარტიებს შორის ფინანსური რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. ამ მხრივაც, უკონკურენტოა მმართველი პარტია, რომელმაც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მთლიანი შემოწირულების 91.1% მოიზიდა;
- კვლავ ფიქსირდება ადმინისტრაციული რესურსის მმართველი პარტიის სასარგებლოდ გამოყენების შემთხვევები. განსაკუთრებით ეს ეხება ადამიანური რესურსის მობილიზების ფაქტებს;
- როგორც საარჩევნო კომისიები, ისე სასამართლოები საარჩევნო დავებს ხშირ შემთხვევაში ზედაპირულად განიხილავენ და საარჩევნო კანონმდებლობას კანონის არსის საწინააღმდეგოდ, ძალიან ვიწროდ განმარტავენ;
- კვლავ გამოწვევად რჩება უკანონო აგიტაციის ფაქტები და სოციალური მედიის, როგორც ინსტრუმენტის, გამოყენება საარჩევნო პროცესებში.



თვითმმართველობა



2018 წლის აგვისტოს ბოლოს მუშაობა დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისიამ, რომლის მიზანია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა, ასევე, კონცეფციის შემუშავებისა და შესრულების კოორდინაცია, პროცესის უწყებათაშორისი კოორდინაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მართვის სისტემის ოპტიმიზაციის, ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებათა გამი-

ჯვნისა და გადანაწილების შესახებ, აგრეთვე, ამ მიმართულებით ადგილობრივ საფინანსო-ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, შეიქმნა სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბების, უფლებამოსილებათა გაზრდისა და ფინანსური დეცენტრალიზაციის სამუშაო ჯგუფები.

საიას წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთნენ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წარადგინეს კანონმდებლობის ანალიზსა და პრაქტიკის კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისკენ, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე, კოლიტიკურად და ფინანსურად დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისკენ.



კომისიამ მუშაობა მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დაასრულოს. საბოლოოდ, შემუშავდება დეცენტრალიზაციის 2018-2025 წლების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც შემდგომ განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და რეალური დეცენტრალიზაციის პროცესი.

საპარლამენტო საქმიანობა და საია კანონმემოქმედებით პროცესში

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად იყო ჩართული საპარლამენტო საქმიანობასა და კანონმემოქმედებით პროცესში, რაც გამოიხატებოდა, როგორც კანონპროექტებზე დასკვნების მომზადებაში, ასევე საკანონმდებლო წინადადებების პარლა-

მენტში წარდგენაში. გარდა ამისა, საიას იურისტები აქტიურად მონაწილეობდნენ კომიტეტების სხდომებში და საჯაროდ ახმოვანებდნენ ორგანიზაციის მოსაზრებებს.



საანგარიშო პერიოდში **საიამ ათვა მეტ საკანონმდებლო აქტებზე** მოამზადა წერილობითი დასკვნა და პარლამენტს წარუდგინა. დასკვნები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა:



საქართველოს კონსტიტუციასთან საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია



დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება



„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში მანდატურის უფლებამოსილების გაზრდა



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯებისთვის ჯარიმების ოდენობის გაზრდა



სოციალური მუშაობისა და სოციალური მუშაკის საქმიანობის მოწესრიგება



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა



„პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონების პროექტები



მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება



საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი



დაგროვებითი პენსია



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა



შრომის უსაფრთხოება



შპს პირთა უფლებების გაუმჯობესება



ბავშვის კოდექსი

რიგ შემთხვევაში საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ საიას მოსაზრებები გაითვალისწინა. ეს ეხებოდა, მაგალითად, კანონმდებლობის კონსტიტუციასთან ჰარმონიზაციას, შრომის უსაფრთხოებას, მანდატურის უფლებამოსილებებს, სოციალური მუშაობის შესახებ კანონს, ბავშვის კოდექსს და ა.შ. თუმცა, ზოგიერთ საყურადღებო საკითხთან დაკავშირებით – როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დევნის ფუნქციის მინიჭება, საპენსიო რეფორმის არაკონსტიტუციური ხასიათი და ა.შ. – ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მოსაზრებები არ იყო გაზიარებული.

საია აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის რეფორმის პროცესში. ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მოსაზრებები ეხებოდა კანონმდებლობის დახვეწას და პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაუმჯობესებას, აგრეთვე, ამ უკანასკნელის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. რეგლამენტის პროექტის განხილვის დროს საიას მოსაზრებების დიდი ნაწილი გაითვალისწინეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ახალი პროექტის დახვეწის პროცესში. ორგანიზაციამ აღნიშნულთან დაკავშირებით უმაღლეს საბჭოს წარუდგინა წერილობითი მოსაზრებები, რომელთა უმრავლესობა პროექტში ინიციატივის დარეგისტრირებამდე აისახა, ხოლო დანარჩენი შენიშვნების დიდი ნაწილი გათვალისწინებული იყო საკომიტეტო მოსმენებისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრის დროს.

საანგარიშო პერიოდში საიამ საქართველოს პარლამენტს მიმართა საკანონმდებლო წინადადებით, რომელიც ეხებოდა ქალთა ქონებრივი უფლებების გაუმჯობესებას და, რომლის მიხედვით, მეუღლეებს ექნებოდათ უფლება, ერთობლივი თანაცხოვრებისას შექმნილი ქონება თანასაკუთრებაში დაერეგისტრირებინათ მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა საიას წინადადება არ გაიზიარა.

ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყო ჩართული „ღია პარლამენტის“ საკონსულტაციო ჯგუფში, რომელიც მუშაობდა 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაზე. მასში საიას მიერ შეთავაზებული არაერთი წინადადება აისახა.

საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების მიმართულებით კვლავ არაერთი ხარვეზი იკვეთება. ძირითად გამოწვევად რჩება კანონპროექტების დიდი ნაწილის დაჩქარებული წესით განხილვა, რაც ართულებს საკანონმდებლო პროცესში ეფექტურ ჩართვას და პარლამენტში წერილობითი მოსაზრებების დროულად წარდგენას. გარდა ამისა, კომიტეტები მოსაზრებებს იზიარებენ ძირითადად კანონპროექტზე მუშაობის ფორმატში ან პარლამენტარების მიერ მომზადებული ინიციატივების შემთხვევაში, ხოლო როდესაც კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოს მთავრობაა, მოსაზრებების გათვალისწინება რთულად ან საერთოდ არ ხდება.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მხრიდან დაბალია ასევე საკანონმდებლო წინადადებების გათვალისწინების მაჩვენებელი. აღნიშნულს ადასტურებს საიას მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებებზე უარის თქმის პრაქტიკა.

სასამართლო

სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის მიღწევისთვის არც 2018 წელი აღმოჩნდა გარდამტეხი. პარლამენტის მიერ განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმამ შედეგი ვერ გამოიღო ვერც მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნისა და ვერც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის თვალსაზრისით.



საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან რეფორმებისადმი ფრაგმენტულმა მიდგომამ გააჩინა საჭიროება, დაწყებულიყო მუშაობა სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის კანონპროექტებზე, თუმცა, პროცესი გაჭიანურდა. ბუნდოვან ვითარებაში, ვადაზე ადრე, თანამდებობა დატოვა უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, რაც, შესაძლოა, სასამართლო სისტემის შიგნით არსებული არაჯანსაღი ვითარების დამადასტურებელი იყოს. კვლავ დაფიქსირდა არაერთი გახმაურებული საქმე, რომლებმაც საზოგადოებაში გააჩინა ეჭვი შერჩევითი მართლმსაჯულების შესახებ.

შესაბამისად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ტრადიციულად აგრძელებს სასამართლოს მონიტორინგს და მისი დამოუკიდებლობის ხელშეწყობას. ამ მიზნით:

- საანგარიშო პერიოდში საიამ, გასული წლების მსგავსად, განახორციელა დაკვირვება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ერთად გამოსცა მონიტორინგის მეექვსე ანგარიში. მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესი ისეთივე ხარვეზებით ხასიათდება, როგორც ხასიათდებო-

და სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე. მკვეთრად გაიზარდა მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების დახურულ სხდომაზე ჩატარების ფაქტები, შესაბამისად, მოსამართლეები კვლავ არაობიექტური პროცესით ინიშნებიან. საზოგადოებაში კვლავ კითხვის ნიშნებს აჩენს კონკრეტული მოსამართლეების დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც უარყოფითად აისახება სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ანგარიში მიუთითებს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, სასამართლოების თავმჯდომარეთა დანიშვნისა და სხვა მიმართულებებით არსებულ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ ხარვეზებზე. ანგარიშის საფუძველზე საიამ საბჭოს წარუდგინა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მოსამართლეთა შერჩევას დამსახურების პრინციპით და გამჭვირვალედ. რეკომენდაციების ნაწილი, რომლებიც ეხება კანდიდატის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, ინფორმაციის მოძიების წესებისა და კონკურსის პროცედურების დაზუსტებას, გათვალისწინებულია. საია აგრძელებს ადვოკატირებას იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კანდიდატთან გასაუბრების ღიაობას და შეფასების დასაბუთებას. .

- მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საია იცავდა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის პროცესში მონაწილე მოქმედი მოსამართლის ინტერესებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს

საკვალიფიკაციო პალატის წინაშე. აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, საიამ ასევე კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

- საია ინდივიდუალურად, ასევე კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ – ფარგლებში, საჯარო განცხადებებით გამოეხმაურა სასამართლო სისტემაში მიმდინარე არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას. მათ შორის, პრობლემა იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკეული მოსამართლე წევრების მხრიდან განსხვავებული აზრის მიუღებლობა, რაც აზიანებდა კოლეგიურ ორგანოში აზრთა პლურალიზმის პრინციპს და ხელს უშლიდა განსახილველ საკითხებზე საგნობრივ დისკუსიას. საგულისხმოა, რომ განსხვავებული აზრის მიმართ მიუღებლობის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის შემდეგ, საბჭოს ერთ-ერთმა მოსამართლე წევრმა გააჟღერა ინიციატივა საბჭოს სხდომების დახურულ რეჟიმში წარმართვის წესის შემოღების თაობაზე, რასაც საია შეეწინააღმდეგა საჯარო განცხადების გამოქვეყნებით. პრობლემური იყო მოსამართლეთა შერჩევის პროცესში საბჭოს მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმის დაუსაბუთებლად გამოყენების არაერთი შემთხვევა, რამაც გამოიწვია საბჭოს კრიტიკულად განწყობილი წევრის ჩამოცილება მოსამართლეთა დანიშვნის პროცესისგან. ამგვარი მიდგომები ეწინააღმდეგება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსს, რომელიც ეფუძნება წარმომადგენლობითობისა და კოლეგიური მართვის პრინციპებს. ამასთან, საია სასამართლოში იცავს საბჭოს არამოსამართლე წევრის ინტერესებს ორ საქმეზე: დავა



საბჭოს წევრის დაუსაბუთებელ აც-ილებაზე და დავა საბჭოს კრიტიკული წევრის მიმართ ცილისმნამებლური განცხადებების გავრცელების გამო.

- საიამ, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულები-სთვის“ ფარგლებში, მოამზადა და მონაწილეობა მიიღო ხუთი კანონპროექტის მომზადებაში, რომელთა მიზანია კომპეტენტური უწყებებისთვის სასამართლო სისტემის სრულყოფილი რეფორმის შეთავაზება და ეხება შემდეგ საკითხებს: **მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა, დისციპლინური პასუხისმგებლობა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა, სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის წესი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის რეგულირება.** კანონპროექტები წარედგინა საქართველოს პარლამენტს. საია აგრძელებს აღნიშნული კანონპროექტების მიღების ადვოკატირებას სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სამართლებრივი შეფასებები გამოაქვეყნა ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც კითხვებს აჩენდა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თაობაზე, მათ შორის: ღამის კლუბ „ბასიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტის დროს პოლიციელთათვის წინააღმდეგობის განწევის ბრალდებით დაკავებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გააჩინა კითხვები შერჩევით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით; ასევე, მეტროს მემანქანეებისთვის გაფიცვის

უფლების შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, რამაც გააჩინა კითხვები აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების პოლიტიზირებასთან დაკავშირებით.

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ასევე სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის პრობლემა, კერძოდ, ანა სუბელიანის და თამაზ ახობაძის სამსახურში აღდგენის საქმეზე იუსტიციის სამინისტროში შემავალმა უწყებებმა ვერ უზრუნველყვეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება, რაზეც საიამ სამართლებრივი შეფასება გამოაქვეყნა. დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების რეალური და ეფექტური მექანიზმის არსებობის გარეშე. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ძირს უთხრის სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების შესაძლებლობას.
- როგორც სასამართლოს, ისე პროკურატურის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზები გამოავლინა თამარ ხაჭაპურიძის ბრალდების საქმემ, რომელსაც საია აწარმოებს და რომელშიც სასამართლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი გიორგი მიქაუტაძე ფიგურირებს. შერჩევითი გამოძიების, პროცესუალური ხარვეზების და კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფის აშკარა ნიშნების არსებობამ განაპირობა საიას მიერ გიორგი მიქაუტაძის იუს-

ტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნა.

- 17-19 ივლისს თბილისში გამართული ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მეხუთე გლობალური სამიტის ფარგლებში საიამ ორგანიზება გაუწია დისკუსიას ღია სასამართლოს თემაზე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მაღალი

რანგის წარმომადგენლები. ერთ-ერთი მომხსენებელი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე. საია აგრძელებს ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში სასამართლოს ჩართვის ადვოკატირებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე.




სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

საქართველოში, უკვე არაერთი წელია, გრძელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის პროცესი და მიმდინარეობს მუშაობა როგორც სისხლის სამართლის მატერიალურ, ისე საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანის მიმართულებით. თუმცა, ამ სფეროში მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ მოუგვარებელი რჩება.

სისხლის სამართლის პროცესი შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის შეჯიბრებით მოდელს და/ან ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპს. ამასთან, ბუნდოვანია ცალკეული დანაშაულების დისპოზიცია, რაც პროკურატურას ანიჭებს ფართო დისკრეციას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს და ეწინააღმდეგება კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება პროკურატურის სისტემის ახლებურად ჩამოყალიბების კუთხით. საქართველოს პროკურატურის სისტემა გარდაიქმნება დამოუკიდებელ უწყებად და ის აღარ იქნება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამომხმარებელი რეფორმის განხორციელების საჭიროებას საპროკურატო საბჭოს დიპლომატიზაციისა და პროკურატურის სისტემის სტრუქტურული ცვლილებების მიმართულებით. საიამ მოითხოვს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული სუბიექტის ჩართვის უზრუნველყოფა და პროცესის სათანადო გამჭვირვალობა.



საანგარიშო პერიოდში საიამ გამოსცა სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის მე-12 ანგარიში, რომელმაც გააერთიანა საქართველოს მასშტაბით 5 სასამართლოში სისხლის სამართლის პროცესებზე დაკვირვების შედეგები. მონიტორინგმა გამოავლინა არაერთი ხარვეზი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება მთელ რიგ შემთხვევებში მოსამართლის მხოლოდ ფორმალური როლი ადამიანის უფლებების დაცვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას. კერძოდ, ეს ეხება მოსამართლის რეაგირებას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე, დაკავების კანონიერების შემოწმებას, აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვას, საპროცესო შეთანხმებისას სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებას.



კვლავ მაღალია აღკვეთის ყველაზე მაკაცრი ღონისძიებების, პატიმრობის, გირაოს და პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი, რისი აუსილაბლობაც ყველა შემთხვევაში არ არის დადასტურებული და წარმოადგენს

შესაბამისი ღონისძიების დაუსაბუთებელ გამოყენებას. აღნიშნული შემთხვევები შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. „შეფარული პატიმრობის“ მაგალითებად.



ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლის სამართალწარმოებისას პრობლემას ქმნის ხარვეზიანი კანონმდებლობა, რაც პრაქტიკაში იწვევს სასამართლოს მიერ არათანაზომიერი სასჯელების გამოყენებას. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესი კი ჭიანურდება.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად წინა წელს გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია: კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს მსხვერპლის დაცვის უფრო მეტ გარანტიებს, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალიზებული მექანიზმი, რომელიც აღნიშნუ-

ლი დანაშაულების გამოძიების მონიტორინგის ფუნქციით არის აღჭურვილი.

საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშშია მითითებული, როგორც სანდო ინფორმაციის წყარო საქართველოში ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. საიამ მონაწილეობა მიიღო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ ორგანიზებულ სასამართლო პროცესების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავს ეუთოს სადამკვირვებლო მისიებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარებას.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დახვეწა



საიამ საანგარიშო პერიოდში, პარტნიორ ორგანიზაციასთან – „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან“ (GCRT) – ერთად, წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დასაცავად არაერთი აქტივობა განახორციელა. ორგანიზაციები დახმარებას უწევდნენ პირებს, რომლებიც ამგვარი ქმედების მსხვერპლნი გახდნენ:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;
- წინასწარი დაკავების იზოლაციაში;

- სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან;
- აგვისტოს ომის დროს ან შემდგომ – პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონაწილეობდა ამ თემაზე მიმდინარე დისკუსიებსა და პლატფორმებში მსხვერპლთა საკითხების ადვოკატირების მიზნით. იმავდროულად, ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებას უწევდა პირებს, რომლებიც წამებასა და არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ.

სამართლებრივი დახმარება

საანგარიშო პერიოდში საიამ:

წარმოებაში აიღო ნაშები და არასათანადო მოპყრობის 7 ახალი საქმე

სამართლებრივი კონსულტაცია გაუნია ჯაშუში 12 პირს

ადვოკატირება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ჩართული იყო სისხლის სამართლის რეფორმის, ასევე, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან/და პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოების მუშაობაში.

პარტნიორებთან ერთად, ორგანიზაციამ მოამზადა რეკომენდაციები სახელმწიფო ინსპექტორის კანონის პროექტთან დაკავშირებით. რეკომენდაციები მიემართებოდა სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებას, კომპეტენციას და ინსტიტუციურ მოწყობას. გარდა ამისა, საიამ, დამატებით, დამოუკიდებლად წარადგინა მოსაზრებები წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით მოსამართლის როლის გაძლიერებასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე. მოსაზრებები შეეხებოდა გამოძიების მოთხოვნით მიმართვას პირდაპირ სახელმწიფო ინსპექტორისთვის, გამოძიების სავალდებულო დაწყებას, პენიტენციარული დაწესებულების

ხელმძღვანელის შემხვედრი ვალდებულებების განსაზღვრას მოსამართლისგან მითითების მიღების შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის მკაფიოდ ჩამოყალიბებას.

- საიამ მოსაზრებები წარადგინა სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში შესატანი ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.
- ორგანიზაცია ასევე მონაწილეობდა პენიტენციარული სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა რეფორმის სამოქმედო გეგმა.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე დისკუსიებსა და პლატფორმებში მონაწილეობის გარდა, ორგანიზაცია იყენებდა ასევე საერთაშორისო მექანიზმებს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ხარვეზებსა და წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების არარსებობასთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირების მიზნით. საიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს (UPR) ფორმატში წარადგინა როგორც კოალიციური, ისე ინდივიდუალური ანგარიშები.

ასოციაციამ, „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან“ (EHRAC) თანამშრომლობით, ე.წ. ცინცაბადის ჯგუფის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების სახით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში წერილობითი მოსაზრებები წარადგინა.

ორგანიზაციაში მიუთითა იმ პრობლემებზე, რომლების, სახელმწიფოს მიერ გადაღებული გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ იკვეთება არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის კუთხით, მათ შორის:

სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო ქვემდებარების შესახებ არსებული კანონმდებლობა კვლავ იძლევა საშუალებას, დანაშაული გამოიძიოს იმ უწყებაში, რომლის თანამშრომლებს, შესაძლოა, იყვნენ დამნაშავეები. შესაბამისად, არსებული რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს საგამომიებო ორგანოების დამოუკიდებლობასა და მიუხედავად;

იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არ გააჩნია ყველა მნიშვნელოვანი საგამომიებო ღონისძიების დამოუკიდებლად განხორციელების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში წარმოადგენლობის უზღუდვამოსილება, სამსახური ვერ უზრუნველყოფს სამართალდაცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტურ გამოძიებას;

დღეს მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის სათანადო ჩართულობას და ინფორმირებას გამოძიების ეტაპზე თუ სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს;

მიუხედავად იმისა, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარების განევა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, ამ მიმართულებით დღემდე არ გადაღებულია შესაბამისი ნაბიჯები. ასევე, სახელმწიფოს არ განუხორციელებია მსხვერპლთა დასვა და რეაბილიტაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აგრძელებს აქტიურ ადვოკატირებას, რათა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე შეიქმნას იმგვარი მექა-

ნიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი



სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების არაეფექტური გამოძიების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კოალიციასთან – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ – ერთად, საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად ადვოკატირებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის იდეას. ორგანიზაცია მონაწილეობდა სპეციალურად ამ მიზნისთვის შემუშავებული კანონპროექტის განხილვაში, ასევე, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან შეხვედრებში, რომლებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმართებოდა.

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადებით გამოეხმაურა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებაში კოალიცია მიუთითებდა, რომ კანონპროექტი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებით დახვეწას საჭიროებდა. საბოლოოდ, პარლამენტმა ისე მიიღო კანონი, რომ კოალიციის შენიშვნები, ძირითადად, არ გაუთვალისწინებია.

ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, რაც წლების განმავლობაში საზოგადოების მოთხოვნას წარმოადგენდა. თუმცა, საია და პარტნიორი ორგანიზაციები მიუთითებენ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მნიშვნელოვან ხარვეზებზე, რაც პრაქტიკაში, დიდი ალბათობით, ხელს შეუშლის ახალი უწყების დამოუკიდებელ მუშაობას. კერძოდ:

კანონის თანახმად, ინსპექტორის სამსახური ახორციელებს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებებს და არ აქვს მინიჭებული სისხლისსამართლებრივი ღვინის უწყისია, რაც მომავალში ხელს შეუშლის მას ეფექტიან მუშაობაში. მეტიც, საქართველოში მოქმედი საკოპურორო ზედამხედველობის სისტემის შინაარსის გათვალისწინებით, გამოძიებას პრაქტიკულად მთლიანად წარმოართავს პროკურორი და ყველა საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელი გამოძიების პროცესში ერთნაირი ხარისხით ექვემდებარება პროკურორის მითითებას.

პროკურორის დისკრეციად რჩება გამოძიების შეწყვეტა, დაწყებული გამოძიების სხვა მუხლზე გადაკვალიფიციაცია (ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ საქმე შეიძლება საერთოდ აღარ დაექვემდებაროს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის განსჯალობას). სისხლისსამართლებრივი ღვინის განხორციელების უწყისია რჩება საქართველოს გენერალურ პროკურატურას. გამოძიების ფარგლებში პროკურორი დამოუკიდებელი უწყების გამომძიებელს აქლავს სავალდებულოდ შესასრულებელ მითითებას.

საიას მოსაზრებით, ახლად შექმნილმა საგამოძიებო უწყებამ დაკისრებული ამოცანები ეფექტიანად რომ განახორციელოს, სულ მცირე, აუცილებელია, სამსახური აღჭურვილი იყოს ყველა მნიშვნელოვანი საგამოძიებო ღონისძიების დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებით.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურთან გაერთიანების გზით. არ არის დასაბუთებული, თუ რატომ გადაწყდა სრულიად განსხვავებული ფუნქციების მქონე ამ ორი უწყების ერთმანეთთან დაკავშირება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი დღეს არის სამართალდაცვითი პროცესისგან დამოუ-

კიდებელი ორგანო, მაშინ როცა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს უნდა იძიებდეს საგამოძიებო ბუნების მქონე უწყება. მაგალითად, ერთი მხრივ, ინსპექტორს მოუწევს, გააკონტროლოს პროკურატურის მიერ მონაცემების დამუშავების კანონიერება, ხოლო მეორე მხრივ – ეთანამშრომლოს/დაემორჩილოს პროკურატურას გამოძიების პროცესში.

ახლად შექმნილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური – საქმიანობას შეუდგება 2019 წლის 1-ლი იანვრიდან.

საია აქტიურად დააკვირდება სამსახურის მუშაობას და პრაქტიკაში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე საზოგადოებას ინფორმაციას მომავალშიც მიაწოდებს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო



2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ (ჰააგის სასამართლო) პროკურორის ოფისს მისცა ნებართვა, დაეწყო გამოძიება 2008 წლის 1-ლი ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, საქართველოში ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებისთანავე აქტიურად ჩაერთო ომის დროს მომხდარი დარღვევების დოკუმენტაციასა და დაზარალებულთა ინტერესების დასვის საქმეში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

გამოძიების დაწყების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის გამოცემისთანავე, საიას მეშვეობით ათობით დაზარალებულმა პირმა სასამართლოს წარუდგინა თავისი დადებითი პოზიცია საქართველოში გამოძიების დაწყებაზე უფლებამოსილების გაცემასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში საია კვლავ აქტიურად ახორციელებდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის ხელშეწყობას და დაზარალებულთა მხარდაჭერას სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წარმართული გამოძიების პროცესში. 2017 წლის ნოემბრიდან, საია, სხვა პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ჩაერთო პროექტის განხორციელებაში – „სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს სიტუაციის გამოძიებაში“.

პროექტის ფარგლებში საიას საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მიმდინარე გამოძიების პროცესში ჰააგის სასამართლოს საქმიანობის ხელშეწყობა რეგიონული კონტექსტის ახსნისა და ომის შედეგად დაზარალებულებთან კომუნიკაციის ფასილიტაციით. ამასთან, საიას ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო ომის შედეგად დაზარალებულთა შორის ცნობიერების ამაღლება ჰააგის სასამართლოს საქმიანობის შესახებ, მათი ინფორმირება პროკურორის ოფისის მიერ დაწყებული გამოძიებისა და მიმდინარე პროცესში დაზარალებულთა უფლებების თაობაზე. გარდა ამისა, ორგანიზაცია ახორციელებდა დაზარალებულთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და ომის დროს მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების, განცდილი ზიანის დოკუმენტირებას.

2017 წლის ბოლოდან თბილისში გაიხსნა ჰააგის სასამართლოს ადგილობრივი ოფისი, რომლის მთავარ ფუნქციას სასამართლოს საქმიანობისა და მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს. ადგილობრივი ოფისის გახსნა სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საიას აქტიური ადვოკატირების შედეგია. დღევანდელი მდგომარეობით ჰააგის სასამართლოს ადგილობრივ ოფისში ძირითადად ერთი ადამიანი – ოფისის ხელმძღვანელი მუშაობს. ოფისი წარმოადგენს ქვაკუთხედს საინფორმაციო ხასიათისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისთვის, თუმცა, არსებული რესურსის გათვალისწინებით, მსგავსი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.



პროკურორის ოფისის მიერ გამოძიების დაწყების დღიდან საიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასამართლოს საქმიანობისა და მანდატის შესახებ დაზარალებულთა შორის ინფორმაციის ნაკლებობა მიიჩნევა. პროკურორის ოფისის მიერ საქართველოში გამოძიების დაწყება არის სრულიად ახალი პროცესი როგორც ფართო საზოგადოების, ასევე, უშუალოდ დაზარალებულთათვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სასამართლოს წარმომადგენლების მხრიდან დროულად განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების აქტივობები საზოგადოებაში, განსაკუთრებით, დაზარალებულთა თაობაზე.

არსებული გამოწვევები

ჰააგის სასამართლოს ადგილობრივი ოფისის არასაკმარისი ადამიანური რესურსი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივი ოფისის გაძლიერებისა და დამატებითი რესურსით (მათ შორის, ადამიანური რესურსით) მისი აღჭურვის აუცილებლობაზე. აღნიშნული პრობლემის შესახებ საიამ არაერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია როგორც ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელთან, ასევე, 2018 წლის 14-18 მაისს ჰააგაში სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გამართული შეხვედრების ფარგლებში. სწორედ აღნიშნული ადვოკატირების შედეგად, 2018 წლის ბოლოდან ადგილობრივ ოფისს ასისტენტის პოზიციაზე ახალი თანამშრომელი ეყოლება, ხოლო 2019 წლიდან, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დაემატოს.




საანგარიშო პერიოდში საიამ ასევე განახორციელა შემდეგი აქტივობები:

გამოიცა საინფორმაციო ბროშურა - „სიხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება.“



გამართა ინდივიდუალური და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულ პიტნებთან, მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მათი ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სპეციალურად შექმნილი კითხვარების მეშვეობით განხორციელდა დაზარალებულთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამოკვლევა და ომის დროს მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის დოკუმენტირება.



საიამ იურისტებმა საჯარო და ინდივიდუალური შეხვედრები გაართმეს დევნილთა 11 დასახლებაში. დევნილებს მიეწოდათ ინფორმაცია ჰაბის სასამართლოსა და საერთაშორისო საკითხის გამოძიების თაობაზე.



დაზარალებულებთან გამართული ინდივიდუალური შეხვედრების ფარგლებში საიამ წარმოუდგინებდა ჰაში შეაფასეს 600 კითხვარი, რომლის მეშვეობით მოხდა თითოეულ დასახლებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირება და ომის დროს დაზარალებულთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების დოკუმენტირება.

კითხვარების გაანალიზების საფუძველზე, 2018 წლის დეკემბერში იგამგება სპეციალური ანგარიშის გამოცემა, რომელშიც ასახული იქნება დევნილთა მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს ომიდან 10 წლის შემდეგ.



დაზარალებულთა ინფორმაციული ვაკუუმი. პროკურორის ოფისის მიერ გამოძიების დაწყებიდან 2 წელზე მეტი გავიდა, თუმცა, დაზარალებულებიც და საიას ადვოკატებიც (როგორც დაზარალებულთა წარმომადგენლები) ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან მიმდინარე გამოძიების თაობაზე. გამოძიების კონფიდენციალური ხასიათის გამო, ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს გამოძიების პროგრესის შესახებ. ინფორმაციის ნაკლებობა ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან სასამართლოსა და პროკურორის ოფისის მიმართ დაზარალებულთა მხრიდან ნდობის დაკარგვის რისკს წარმოშობს და არსებული პროცესისადმი გაურკვეველობას იწვევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პროკურორის ოფისმა პერიოდულად უზრუნველყოს დაზარალებულთა ინფორმირება გამოძიების პროგრესის შესახებ. დამატებით, იმ პირობებში, როდესაც რუსეთი არ არის რომის სტატუტის წევრი ქვეყანა და არ თანამშრომლობს პროკურორის ოფისთან, არსებობს გამოძიების არასრულყოფილად ჩატარების რისკი. გარდა ამისა, არის იმის საშიშროებაც, რომ რუსეთის მაღალი თანამდებობის პირის მიმართ დაკავების ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, ბრძანება აღუსრულებელი დარჩება.

დაზარალებულებს დღემდე არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის, მანდატისა და მიმდინარე პროცესებში მათი უფლებების თაობაზე. მართალია, ადგილობრივმა ოფისმა რამდენიმე დასახლებაში უკვე გამართა შეხვედრები, თუმცა, დაზარალებულებთან ერთჯერადი ინტერაქცია არ არის საკმარისი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სასამართლომ გააგრძელოს ცნობიერების ამაღლების რეგულარული აქტივობები.

მხარდაჭერის პროგრამების არარსებობა. სასამართლოს მსხვერპლთა ნდობის ფონდს (Trust Fund for Victims) გააჩნია მხარდაჭერის (ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და მატერიალური) განხორციელების უფლებამოსილება. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულები ცალსახად ექცევიან ფონდის მხარდაჭერის მანდატის ფარგლებში, თუმცა, ამ ეტაპზე ფონდს საქართველოში არ განუხორციელებია მხარდაჭერის პროგრამები ომის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით, მიუხედავად ამ უკანასკნელთა მძიმე მდგომარეობისა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს სიტუაციის მიმართ ინტერესის ნაკლებობა – არ ხდება შესაბამისი აქტივობების მხარდაჭერა. აღნიშნულს გარკვეულწილად განაპირობებს საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების არასაკმარისი პროგრესი. 2008 წლის აგვისტოს ომიდან 10 წელი გავიდა, თუმცა, ომის შედეგად დაზარალებულთა დარღვეული უფლებები დღემდე არ აღდგენილა და პასუხისმგებელი პირები არ დასჯილან. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პროკურორის ოფისმა აწარმოოს დროული და ეფექტური გამოძიება, სასამართლოს სხვა უწყებებმა გაააქტიურონ ძალისხმევა საქართველოს სიტუაციის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო და ადგილობრივმა აქტორებმა უზრუნველყონ დაზარალებულთა მხარდაჭერა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველო დღემდე ინარჩუნებს 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც არაკონსტიტუციურია და არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

*ადმინისტრაციულ სამართალ-
დარღვევათა კანონმდებლობის
რეფორმირების მიზნით, სია
ბანაბრობს ადვოკატირებას
აღვილოვრივ და საერთაშო-
რისო დონეზე, ცნობიერა-
ბის ამაღლების კამპანიასა და
სტრატეგიულ სამართალწარ-
მოებას საკონსტიტუციო სა-
სამართლოში.*

ადვოკატირება აღვილოვრივ დონეზე

საანგარიშო პერიოდში საიამ გამართა არაერთი სამუშაო შეხვედრა პარლამენტარებთან, მთავრობისა და სასამართლოს წარმომადგენლებთან, რომლებსაც წარუდგინა საკუთარი ხედვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის იურისტები ყურადღებას ამახვილებდნენ კანონმდებლობის დროული შეცვლის საჭიროებაზე.

საიამ უარყოფითად შეაფასა და წერილობითი მოსაზრებები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს იმ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომლებმაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შემავალ ცალკეულ მუხლებზე სანქციის გამკაცრება გამოიწვიეს.



ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა (EHRAC) ერთობლივი წერილობითი კომუნიკაციით მიმართეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს. აღნიშნულ დოკუმენტში ხაზი გაესვა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, რაც გამოიხატა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არსებული ფორმით შენარჩუნებაში.



კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ სახელით მომზადდა და გაიგზავნა წერილი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან.

სტრატეგიული სამართალწარმოება

საია ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას საკონსტიტუციო სამართლოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არაკონსტიტუციური გამოყენების შესაცვლელად. ამ დროისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოში ორგანიზაციას წარდგენილი აქვს 6 სარჩელი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომელთა ნაწილი თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მათზე ვრცელდებოდეს სამართლიანი პროცესის ყველა სტანდარტი.



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს მძიმე სანქციებს, მათ შორის ადმინისტრაციულ პატიმრობას, რაც თავისი ბუნებით მოითხოვს სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული საპროცესო გარანტიების გამოყენებას.



არსებული კანონმდებლობა უზულებელყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციას და მოსამართლისგან არ მოითხოვს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტის გამოყენებას.



სამართალწარმოების შეზღუდული პროცედურები არ უზრუნველყოფს ეფექტიან დაცვას. ფაქტობრივად, არსებული პრაქტიკის თანახმად, საქმის განხილვა დაახლოებით 10-15 წუთი შეიძლება გაგრძელდეს.



სამართალდარღვევის საქმის განხილვისას სასამართლო არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას.

ამრიგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენება იწვევს **საქართველოს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების და საქართველოს მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას.**

ქალთა უფლებები



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის კვლავ სტრატეგიულ მიმართულებად რჩება საქმიანობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდში საიამ დაასრულა მუშაობა სპეციალურ დოკუმენტზე, რომელიც

მელიც წარმოადგენს პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი ივსება პოლიციელის მიერ ძალადობის ინციდენტზე რეაგირებისას. დოკუმენტით მიღებული შედეგი ეხმარება პოლიციელს შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე გადაწყვეტილებაში.

ამავე პერიოდში საიამ შეიმუშავა მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა, რომელიც ეტაპობრივად ინერგება პრაქტიკაში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით.

ორგანიზაცია კვლავ აქტიურად იყო ჩართული ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ღონისძიებებში, რომელთა ფარგლებშიც პროფესიული გადამზადება გაიარა 17-მა ბენეფიციარმა.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა

ეს იყო ის

ძირითადი

ეკონომიკური გაძლიერება

თემატიკა, რომელთა

კუთხითაც

ქალაქობის მსხვერპლთა დაცვა

ორგანიზაცია

სხვადასხვა

კრიმინალიზებული ქალებისთვის

აქტივობას

მართლმსაჯულების


ახორციელებდა

ხელმისაწვდომობის გაზრდა

ოჯახში ძალიანობის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია



538



13



57

საიამ შესაბამისი აქტივობები განახორციელა ასევე გენდერული ძალადობის აღმოფხვრის პრევენციების შექმნისა და კრიმინალიზებული ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. კერძოდ:

- პარტნიორებთან ერთად („თანადგომა“, „აკესო“) განხორციელდა ცნობიერების ამაღლების კამპანია სექსმუშაკი და წამალდამოკიდებული ქალებისათვის, მათი უფლებების დაცვის სამართლებრივ საშუალებებზე;
- მომზადდა მიმართვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისთვის მეტადონის პროგრამ-

ის ფარგლებში კონტრაქტორი კლინიკების შემონმებასთან დაკავშირებით, სადაც მომსახურებას იღებენ წამალდამოკიდებული პაციენტები. მიმართვას თან დაერთო წამალდამოკიდებულ ბენეფიციართა ახსნა-განმარტებები;

- სახალხო დამცველს წარედგინა განცხადება რეკომენდაციის გამოსაცემად, რათა აღმოიფხვრას მეტადონის პროგრამის კონტრაქტორ კლინიკებში არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკა (წამლის მისაღებად რიგში დგომისას წამალდამოკიდებული ქალები განიცდიან შევიწროებას და დამცირებას წამალდამოკიდებული მამაკაცების მხრიდან);

- 2016 წელს ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების, საჯარო უწყებებიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე მომზადდა კვლევა „გენდერული ძალადობა სექსმუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები: საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება“;
- კოალიცია „თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადდა დოკუმენტები წამალდამოკიდებულ და სექსმუშაკ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- საგარეო საქმეთა სამინისტროდან, იუსტიციის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროდან გამოთხოვნილი იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებები განახორციელა თითოეულმა მათგანმა იმ რეკომენდაციების საპასუხოდ, რომლებიც განერილია გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) 2014 წლის დასკვნით მოსაზრებებში საქართველოსთან მიმართებით. აღნიშნული ინფორმაცია გამოყენებული იქნება ალტერნატიული ანგარიშის მოსამზადებლად.
- სექსმუშაკთა გენდერული ძალადობისგან დაცვისა და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მომზადდა განცხადება სახალხო დამცველისთვის წარსადგენად. განცხადების მიზანია, სახალხო დამცველმა მიმართოს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას, რათა მომზადდეს და განხორ-

ციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან პროსტიტუციასთან დაკავშირებული მუხლების ამოღების შესახებ;

- ჩატარდა 2 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც თემის წარმომადგენლებმა, ასევე იურისტებმა და ჟურნალისტებმა. ტრენინგებზე განხილული იყო სექსმუშაკი და ნარკოდამოკიდებული ქალების პრობლემები, პირის უფლებები დაკავების დროს, ჯანდაცვის სერვისები და მათზე სექსმუშაკი და ნარკოდამოკიდებული თემის ხელმისაწვდომობა, პერსონალური მონაცემების დაცვა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და ბარიერები;
- ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიას და „თანადგომის“ თანამშრომლებისა და სექსმუშაკი ქალების ერთობლივი შეხვედრა, რა დროსაც შსს-ს გენერალური ინსპექციისა და ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს მიენოდათ ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც სექსმუშაკი ქალები ყოველდღიურად აწყდებიან პოლიციასთან ურთიერთობისას. შეხვედრაზე განხილული იყო კონკრეტული მაგალითები, რომლებთან დაკავშირებითაც გენერალურმა ინსპექციამ მონიტორინგისა და საკითხის გარკვევის მზადყოფნა გამოთქვა.

ბავშვთა უფლებები



ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფორმების, ასევე, გამონწვევების იდენტიფიცირების მიზნით, საანგარიშო პერიოდში საიამ განხორციელა კვლევა „ბავშვის მიმართ ძალადობა“.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები სფეროების მიხედვით: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება და მედიასივრცე. ამ გამონწვევების ანალიზის შედეგად, ორგანიზაციამ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები. კერძოდ, ბავშვთა დაცვის სათანადო ზომების შერჩევისა და მათი სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის, აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- უნდა მოხდეს ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მექანიზმების სრულყოფა, ყველა შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პერიოდული რევიზია და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჰარმონიზაცია;
- ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე გამკაცრდეს სისხლისსამართლებრივი სანქციები;
- პრევენციული მექანიზმების სრულყოფის მიზნით, მშობელთათვის დაიგეგ-

მოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიები ბავშვის მიმართ ძალადობის გავლენების შესახებ. ასევე, მშობლებს მიენოდოს ინფორმაცია ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის იდენტიფიცირების პირველი ნიშნების შესახებ, შემდგომი ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელების მიზნით;

- ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების მედიაში გაშუქება მოხდეს ჟურნალისტური ქარტიის მიერ დადგენილი ეთიკის ნორმების შესაბამისად, რათა თავიდან იყოს აცილებული ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მეორადი ვიქტიმიზაცია;
- მოხდეს სასწავლო პროგრამების გადახედვა ბავშვის მიმართ ძალადობისგან დაცვის შესაბამისი ინფორმაციის ასახვის, ასევე, სასკოლო პროგრამებში არსებული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით;
- უზრუნველყოფილი იყოს მანდატურის როლის გაძლიერება სკოლაში ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის, ასევე, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურებში ჩართვის მიზნით;
- კიდევ უფრო გაძლიერდეს პატრულებისა და უბნის ინსპექტორების როლი. დაიგეგმოს შესაბამისი ტრენინგები და ღონისძიებები მათი უნარ-ჩვევების განვითარების, ასევე, საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ ახალი ტენდენციების შესახებ რეგულარული ინფორმირების მიზნით;
- სოციალური მომსახურების სააგენტოში დაინერგოს და გაძლიერდეს ფსიქოლოგის ინსტიტუტი ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან შესაბამისი ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით.

მედიაბარემო და ჟურნალისტთა უფლებები

2018 წლის თებერვლიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გააქტიურდა მედიასამართლის მიმართულება.



საია ჟურნალისტთა უფლებების დასაცავად

საიას იურისტებმა საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტებს გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაციები შემდეგ თემებზე: საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, „მაუნწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებთან დაკავშირებული საკითხები, შრომის სამართალი.

ჟურნალისტები განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ორგანიზაციას საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სწორედ ამ მიმართულებით ახორციელებს საია მათ წარმომადგენლობას სასამართლოში.

ჟურნალისტთა უფლებების დასაცავად საანგარიშო პერიოდში საიას მიერ არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის: სასამართლოში წარმომადგენლობა, „მაუნწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა, საზოგადოებრივი მაუნწყებლის საქმიანობისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგი.

ცვლილებები „მაუნწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში

საიამ უარყოფითად შეაფასა „მაუნწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებები, რომლითაც საზოგადოებრივი მაუნწყებელი კიდე უფრო გაუმჭვირვალე დაწესებულება გახდა, გაიზარდა კორუფციისა და კომერციული ზეგავლენის რისკები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა კვლევა „რა ღირს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელშიც განხილული იყო: რამდენად საჭიროებს საზოგადოებრივი მაუწყებელი დამატებით შემოსავლებს, როგორ განკარგავს სახელმწიფო ბიუ-

ჯეტიდან გამოყოფილ თანხებს, რამდენად ეფექტურად მუშაობს სამეურვეო საბჭო და როგორ იღებს ის გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ორგანიზაცია ჩართული იყო ასევე შრომის პოლიტიკასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესებში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი შრომის ანაზღაურება იხარჯება



დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით
(31 დეკემბრის მდგომარეობით)



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განახორციელა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მონიტორინგი. შედეგად, გამოიკვეთა არაერთი პრობლემა. მათ შორის, გამოვლინდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ იყო უფლებამოსილი, რუსეთში რეგისტრირებული „ნტვ პლუსისთვის“ საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა მიეცა.

საიამ, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარადგინა ასევე მოსაზრებები კომისიის მიერ მედიანიგნიერებასთან დაკავშირებით მიღებულ აქტებზე.

ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში აქტიურად აკვირდებოდა და სწავლობდა მედიის სფეროში განვითარებულ მოვლენებს და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აკეთებდა საჯარო განცხადებებს, მათ შორის, შეაფასა და გამოეხმაურა შემდეგ საკითხებს: საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები – საკადრო და სარედაქციო პოლიტიკა, ტენდერები; შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-თან მომხდარი ფაქტი – ჟურნალისტებზე თავდასხმა; ა(ა)იპ „მედიაკავშირ ობიექტივის“ ჟურნალისტების მიმართ შესაძლო ძალადობა; შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში უკანონო ხელშეშლა და ძალადობა ხაშურში; ტელეკომპანია „პირველთან“ დაკავშირებით არსებული ვითარება.

არსებული გამოწვევები

საზოგადოებრივი მაუწყებელი. მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი მაუწყებელი გათავისუფლდეს პოლიტიკური და კომერციული ზეგავლენებისგან, გახდეს მეტად დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული. ამისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, შეიცვალოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებებით დადგენილი რეგულაციები.

მედიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულების სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება. აუცილებელია, დროულად, სრულყოფილად და ჯეროვნად იყოს გამოძიებული მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ფაქტები და გამოძიების დაწყება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებდეს. პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, მნიშვნელოვანია, მედიის წარმომადგენლებმა ღიად და საჯაროდ ისაუბრონ მათზე ზენოლის კონკრეტულ შემთხვევებზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. მნიშვნელოვანია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მედიანიგნიერების კუთხით განახორციელოს კონკრეტული ქმედებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება როგორც საერთაშორისო პრაქტიკასთან, ისე ადგილობრივ საჭიროებებთან.

ანტიკორუფციული საქმიანობა


საანგარიშო პერიოდში საია, ტრადიციულად, აგრძელებდა საქმიანობას ანტიკორუფციული მიმართულებით. ორგანიზაციის წარმომადგენლები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებასა თუ შეხვედრაში, მათ შორის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, პარტნიორებთან ერთად, მოსაზრებები წარადგინა „საჯარო დანებსეზულებამი ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების ორ პროექტზე, რომლებიც გულისხმობდა რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების წარდ-

გენის, გამოქვეყნებისა და მონიტორინგის თვალსაზრისით.

პარლამენტში ინიცირებული პროექტები მნიშვნელოვნად ასუსტებდა პრევენციისა და სანქციონების კუთხით დღეს არსებულ სტანდარტს, ზრდიდა ინტერესთა კონფლიქტის რისკებს და ამცირებდა თანამდებობის პირების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებო იყო ცვლილება, რომელიც აუქმებდა ჯარიმას თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში.

წარდგენილი ცვლილებების განხილვის პროცესი შეჩერებულია. უნდა ითქვას, რომ მსგავსი ცვლილებები არსებითად აზრს უკარგავს ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემას, რომელიც გასულ წელს ამოქმედდა და ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული რეფორმა იყო უკანასკნელ წლებში. მონიტორინგის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოციონების დღის წესრიგის თანახმად.



საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია საქმიანობდა ასევე უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მიმართულებით, რაც გულისხმობს კორუფციის პრევენციის მექანიზმების დახვეწას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას თბილისში და გარემოს დაცვის კუთხით არსებული გამოწვევების ანალიზს. აღნიშნული მოიცავს დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და პენსიების მხარდაჭერის პროცესში კორუფციული ელემენტების კვლევას და სამართალწარმოებას.

კორუფციის პრევენციის მექანიზმის დახვეწა საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების გზით

საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების დახვეწის მიზნით, საიამ საანგარიშო პერიოდში არაერთი საქმიანობა განახორციელა.

უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით საიამ საქმიანობა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:



არსებული რეგულაციების, მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ეფექტის, აღნიშნული მექანიზმების ტრანსფორმაციის **კვლევა და ანალიზი**



დამკვიდრებული **პრაქტიკისა** და ამ კუთხით არსებული **გამოწვევების კვლევა**



კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისი **რეკომენდაციების მოზიდვა** საპარლამენტო კონტროლის და უსაფრთხოების სექტორის შემადგენელი ინსტიტუტებისთვის



საერთაშორისო **პრაქტიკის კვლევა და ანალიზი**



საია, ამ მხრივ, კიდევ უფრო ავითარებს სამართლებრივი ბაზის კვლევის შესაძლებლობებს, ასევე, აყალიბებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც გულისხმობს სამართლებრივი ბაზის შესწავლას არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების ქრილში, არამედ, ასევე, სახელმწიფოს მიერ ნორმატიულ აქტებში გამოვლენილი პოლიტიკური ნების კონტექსტში. ეს მოიცავს არსებული სამართლებრივი ჩარჩოს პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემების სიღრმისეულ ანალიზს, აგრეთვე, აღნიშნულის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ეფექტის კვლევას.

რაც შეეხება საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმის გაძლიერების კუთხ-

ით უკვე განხორციელებულ აქტივობებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტი რეგლამენტის ცვლილებებზე მუშაობის დროს გაითვალისწინა საიას მიერ წარდგენილი რეკომენდაციები, განსაკუთრებით, უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის ნაწილში.

მიუხედავად საქართველოს პარლამენტის მხრიდან არსებული დეკლარირებული მხარდაჭერისა, ძირითად გამოწვევად რჩება სახელმწიფო აქტორთა შესაძლო უარი თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით, ცალკეული პოლიტიკოსების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მისამართით გამოთქმული დაუსაბუთებელი ბრალდებების ფონზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში



თბილისში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მონიტორინგს. მონიტორინგის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა.

პარალელურად, საია სწავლობს თბილისის მართვის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტრუმენტებს, ასევე, აკვირდება, თუ რამდენად სწორი

მეთოდოლოგიით მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროცესი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საია პარტნიორთან – „ტფილისის ჰამქართან“ ერთად ამუშავებს რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ადვოკატირებას გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

საზოგადოების დაინტერესებისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, საია და „ტფილისის ჰამქარი“ მომავალი საანგარიშო წლის გაზაფხულზე გეგმავენ ინტენსიურ საინფორმაციო კამპანიებს და ტურებს ძველი თბილისის მასშტაბით.

ბარემოს დასვა



გარემოსდაცვითი პრობლემები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას და სირთულეს წარმოადგენს. საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში საიას საქმიანობა სწორედ მძიმე ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაზე იყო ფოკუსირებული. ორგანიზაცია ამ მიზნით რამდენიმე მიმართულებით მუშაობდა. ერთ-ერთი მიმართულება იყო კვლევის განხორციელება, რომლის ობიექტს წარმოადგენდა სახელმწიფოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა და ამ კუთხით არსებული გამოწვევების, მათ შორის, კორუფციის ელემენტების გამოკვეთა/ანალიზი.

ამ ეტაპზე არსებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის პარალელურად განხორციელდა სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შესწავლა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა აღნიშნული რეგულაციებისა და სტრატეგიების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობაზე, იმ

პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებსაც სახელმწიფო დეკლარირებული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში აწყდება. საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, ორგანიზაცია მწვანე საკითხებთან დაკავშირებით პლატფორმის შექმნაზე მუშაობს.

სტრატეგიული სამართალწარმოება

ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების კონსტიტუციური უფლების პრაქტიკაში რეალიზებისთვის საია აწარმოებს სტრატეგიული მნიშვნელობის დავებს სასამართლოში. ორგანიზაცია ითხოვს რეკრეაციულ ზონებში მშენებლობების აღკვეთას, ასევე, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქეების ინტერესების დაცვას და ჰიდროელექტროსადგურების მშენებელი კომპანიებისთვის ზიანის მომტანი საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმას.

სწავლის კამპანია

საანგარიშო პერიოდში საია ცდილობდა მოქალაქეთა ცნობიერების გაზრდას გარემოსდაცვით საკითხებზე. სამწუხაროდ, საქართველოში, ბიზნესინტერესების სასარგებლოდ, ხშირად ზიანი ადგება გარემოს და საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას. მშენებელი კომპანიები და სახელმწიფო უწყებები ისე იღებენ გადაწყვეტილებებს, რომ განხილვებში არ რთავენ მოქალაქეებს, რომლებიც, აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, უშუალოდ ექვეყიან მისი მავნე ზემოქმედების ქვეშ.



**საიამ ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლების მიზნით
საქართველოს რეგიონებში გამართულ გასვლით
შენვადრებზე განიხილა:**



ორჰუსის კონვენცია - გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელშისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელშისაწვდომობის თაობაზე.



ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულაციები და მათი პრაქტიკაში გამოყენება.



საჯარო განხილვის ჩატარების, მასში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის და, ამ მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის ხელშისაწვდომობის წესები.

ადვოკატირება

საიას რუსთავის ოფისმა წარმატებული ადვოკატირების კამპანია აწარმოა ქვემო ქართლის რეგიონში კომპანია “RMG GOLD”-ის მიერ სამთომოპოვებითი სამუშაოების წარმოების შედეგად შექმნილი გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების მიზნით. აღნიშნული კომპანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში ოქროს მოიპოვებს ღია კარიერული წესით. საწარმოო პროცესის

შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ჩაედინება მდინარეებში, რომლითაც ირწყვება მიწის ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. კვლევებით დადასტურებელია, რომ აღნიშნული ნარჩენები დაბინძურებულია მძიმე მეტალებით, რომლებიც სარწყავი არხებიდან ხვდება საკვებ პროდუქტებში, ხოლო შემდეგ იმ ადამიანების ორგანიზმში, რომლებიც ამ საკვებს მოიხმარენ.




ადვოკატირების კამპანიის და ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო აქციების შედეგად, კომპანია “RMG GOLD”-მა, რომელიც ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში გეგმავდა სამუშაოების გაფართოებას და ახალი კარიერების გახსნას, ამ ეტაპზე შეაჩერა აღნიშნულ ლოკაციაზე სამუშაოების წარმოება.

ლია მმართველობა

დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს შენების მნიშვნელოვანი კომპონენტია ღია და გამჭვირვალე მართვის ხელშეწყობა.

2011 წლიდან საქართველო არის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) წევრი. ერთი წლის წინ ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა – 2017 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საფრანგეთის პრეზიდენტისგან OGP-ის თავმჯდომარეობა გადაიბარა. 2018 წელს კი, ქვეყანამ OGP-ის რიგით მესამე გლობალურ სამიტს უმასპინძლა. სახელმწიფოსთვის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თავმჯდომარეობა მნიშვნელოვანი წარმატებაა, თუმცა, იმავდროულად – დიდი პასუხისმგებლობაც. ინოვაციური და ამბიციური სამოქმედო გეგმის შემუშავების მოლოდინი, სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების არაკონსტრუქციულმა ქმედებებმა გააქარწყლა. აღნიშნულთან დაკავშირებით საიამ პარტნიორობთან ერთად სპეციალური განცხადება გაავრცელა და პრემიერ-მინისტრს პროცესებში ჩართვისკენ მოუწოდა.

საქართველომ ვერ გაამართლა პარტნიორობის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებული მოლოდინები. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ მეოთხე სამოქმედო გეგმას აკლდა ამბიციური ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციასთან ბრძოლა გლობალური სამიტის ერთ-ერთ გაცხადებულ პრიორ-



იტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა, მთავრობამ სამოქმედო გეგმაში არ გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების მიერ ერთობლივად შეთავაზებული მნიშვნელოვანი რეკომენდაცია დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის თაობაზე.

სამოქმედო გეგმის შინაარსის გარდა, სამოქალაქო საზოგადოების წუხილი უკავშირდებოდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2018-2019 წლების ეროვნული

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესსაც. სამოქალაქო საზოგადოებას გეგმის პროექტზე შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარსადგენად უკიდურესად მცირედრო მიეცა იმ მოცემულობაში, როდესაც მთავრობის შიგნით განხილვები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. შემაშფოთებელი იყო ის ფაქტიც, რომ სამთავრობო უწყებებმა სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეთავაზებულ კომპრომისულ ალტერნატიულ წინადადებებზე უარი ბოლო მომენტში თქვეს, როდესაც მოლაპარაკებისთვის დრო, ფაქტობრივად, აღარ იყო. აღნიშნულმა კი, დააზიანა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი: ღია და გახსნილი თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო სექტორს შორის.



OGP-ის მეხუთე სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესში საიამ წარადგინა რეკომენდაციები/წინადადებები სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო საწარმოების სფეროში გამჭვირვალე და ანბარიშვალდაბული მართვის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული წინადადებები სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გაითვალისწინა და სამოქმედო გეგმაში ასახა.


საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად ჩაერთო OGP-ის გლობალური სამიტის ფარგლებში გამართულ დისკუსიებში. საიას ორგანიზებით და მონაწილეობით გაიმართა საჯარო დისკუსიები OGP-ის გლობალური სამიტის მნიშვნელოვან პანელებში სამართლიანი, ღია და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. ამავდროულად იმსჯელა საიამ OGP-ის სამოქალაქო საზოგადოების დღეს.

ორგანიზაცია აქტიურად განაგრძობს მუშაობას „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. საია ჩართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულ სამუშაო ჯგუფში და მისი საქმიანობა ფოკუსირებულია იმაზე, რომ თბილისის ღია მმართველობის მეორე – 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება/იმპლემენტაციით მოხდეს ღია მმართველობის პრინციპების რეალურ და საზოგადოებისთვის ხელშესახებ მექანიზმებად ჩამოყალიბება.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფუნდამენტური პრინციპების დამკვიდრების, მთავრობათა ღიაობის, გამჭვირვალობის, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და გადანწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის, საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებების შესასრულებლად შეიქმნა ichange.gov.ge – ელექტრონული პეტიციების ოფიციალური სამთავრობო პლატფორმა. პლატფორმის მიზანს საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობა, საქართველოს მთავრობის გადანწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების გაადვილება წარმოადგენდა.

მონიწივე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით, გამჭვირვალობითა და ანბარიზალებული პეტიციებით, საქართველო მიზნად ისახავს საზოგადოებრივი დროების ამაღლებას, მოქალაქეთა გაქმნიერებას და მთავრობის უფექტიანობის უზრუნველყოფას.

პლატფორმის შექმნის ვალდებულება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის მიხედვით აიღო, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის №557 დადგენილებით იყო დამტკიცებული.



საია, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის და ელექტრონული პეტიციების პორტალის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, აქტიურად ჩაერთო პორტალის ფუნქციონირების, საქართველოს მთავრობისთვის ელექტრონული პეტიციების წარდგენის, პეტიციების მიღების, განხილვის წესებისა და პროცედურების საინფორმაციო კამპანიაში. ორგანიზაციამ დაგეგმა და განხორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა. განისაზღვრა სამი ძირითადი მიმართულება – კვლევითი საქმიანობა, ცნობიერების ამაღლება და პორტალის პოპულარიზაცია, რომელთა განხორციელებაში, საიასთან ერთად, მონაწილეობდნენ პარტნიორი ორგანიზაციები – ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი ACT da action global communication- AGC.

მიუხედავად იმისა, რომ კორტალის შესახებ დადგენილება 2017 წლის მაისში გამოქვეყნდა და ამოქმედდა, თავად კორტალი სრულყოფილად მოგვიანებით, პროექტის გუნდის მნიშვნელოვანი ძალისხმევით აშუშავდა. საია აქტიურად იყო ჩართული ასევე კორტალის facebook-გვერდის შეუფარხებელი ფუნქციონირების პროცესში.







შედეგად, საიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რომლებშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იყო იდენტიფიცირებული. კერძოდ, ძირითად გამოწვევად დარჩა: მთავრობის ინერტული დამოკიდებულება პორტალის მიმართ; აუცილებელი ხელმძღვანელების დიდი რაოდენობა; ტექნიკური ხარვეზები პორ-

ტალზე; რეგისტრაციის სირთულე საზოგადოების გარკვეულ ნაწილში; მობილური ვერსიის არარსებობა (ასევე, არ არის ადაპტირებული შპმ პირთათვის) და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნული, ერთიანობაში, მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოებად გამოიკვეთა საჯარო პოლიტიკაში მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობისთვის.

რაოდენობრივი შედეგები:



მონაწილეთა რაოდენობა



2000 გეჭდური
სახელმძღვანელო

1 ვიდეო
სახელმძღვანელო

1 TV რეკლამა
7 ტელევიზიები

1 რადიო რეკლამა
8 რადიოები

120 სტენსილი

5 პოლქასტი

10 უოტო ისტორია

10 სტატიი

პოპაკ ბანერები
3 ინტერნეტ
გვერდი

5 ინფორმაციი

2000 პოსტერი

400 ბრენდირებული
მეისური

400 ბრენდირებული
ჩანთა

საია უფლებების დასაცავად

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის კვლავ ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ ამოცანად რჩება. საანგარიშო პერიოდში, საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით, მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ უფასო კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაცია და იურიდიული დახმარება, მათ შორის, სტრატეგიული სამართალწარმოების გზით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით. ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება, ტრადიციულად, მიმართული იყო მონყვლადი ჯგუფების პრობლემების მოგვარებისკენ.

საანგარიშო პერიოდში უფასო სამართლებრივი კონსულტაცია მიიღო 35 000-ზე მეტმა პირმა, მათ შორის, რაიონული ცენტრებიდან მოშორებულ და მაღალმთიან დასახლებებში უშუალო ვიზიტების მეშვეობით. გასვლითი შეხვედრების ფარგლებში საიას იურისტებმა მოქალაქეებს გაუნიეს იურიდიული დახმარება და მოუშზადეს სამართლებრივი დოკუმენტები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, როგორიცაა: ოჯახში ძალადობა, ნაადრევი ქორწინება,




შეხვედრები EWWI ACCESS-ის ორგანიზებით

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, უმცირესობების უფლებები, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება და ა.შ. შეხვედრების დროს ორგანიზაციის ყურადღება ასევე ფოკუსირებული იყო მოსახლეობის ყოფითი პრობლემების შესწავლასა და მოგვარებაზე – ადგილობრივ თვითმმართველობებთან ადვოკატირების გზით.




სამართლებრივი კონსულტაციები სივს თბილისისა და რეგიონების ოფისებში

ბენეფიციართა რაოდენობა თბილისის ოფისში



ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონების ოფისებში



კონსულტაციების რაოდენობა ტიპების მიხედვით

	თბილისი	კუთასი	აჭარა	გორი	თელავი	ლუბთი	რუსთავი	ოჭურბეთი	ჯავახი
ბასვლითი			5	57	1	36	1	371	120
ონლაინ	491	41	5	3	5		5	19	63
პირადი	5389	3942	1511	3661	1845	612	2392	1542	1543
სამართლებრივი ლოკუმენტი	751	639	992	1223	185	85	260	278	277
სატელეფონო	5096	504	38	297	98	122	119	427	212
წერილობითი	8	2			1		25		
სულ	11735	5131	2551	5241	2135	855	2802	2637	2215

კონსულტაციების რაოდენობა საკითხების მიხედვით

	თბილისი	კუთასი	აჭარა	გორი	თელავი	ლუბთი	რუსთავი	ოჭურბეთი	ჯავახი
საერთაშორისო	172		2				4		
კონსტიტუციური	25	3	1			1	1	2	2
სოციალური	158	7	12	115	23	36	28	88	96
სისხლი	877	729	245	951	276	31	146	145	999
ადინისტრაციული	2936	576	352	952	506	405	579	834	844
სამოქალაქო	7975	3196	1147	2079	1168	298	1787	1293	3401
სხვა	22	1				1	16		
სულ	12165	4512	1759	4097	1950	772	2542	2362	5342

სტრატეგიული სამართალწარმოება



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სტრატეგიული საადვოკატო საქმეების წარმოებით, ცდილობს, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღდგენა, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას როგორც ეროვნული (ადმინისტრაციული ორგანოები, მათ შორის, სახალხო დამცველის ინსტიტუტი და სასამართლოები), ისე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე საქმე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ საიას ბენეფიციარების სამართლებრივი უფლებების აღდგენის, არამედ არსებული პრაქტიკის შეცვლის თვალსაზრისითაც.

სტრატეგიული სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე

● არასათანადო მოპყრობა

საანგარიშო პერიოდში საიამ დაიწყო 6 საქმის წარმოება, რომლებიც შეეხებოდა

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს (ფიზიკური ძალადობა, დანაშაულის აღიარების მოთხოვნა და ა.შ.). ამასთან, საიამ დაიწყო 5 საქმის წარმოება პოლიციის მიერ 5 პირის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ და აღნიშნული სამართალდარღვევის აქტები სასამართლოში გაასაჩივრა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები შეეხება პირთა დაჯარიმებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სხვადასხვა მუხლის დარღვევის ბრალდებით.

● ოჯახში ძალადობა

საანგარიშო პერიოდში საიას ოფისები საქართველოს მასშტაბით ათეულობით საქმეს აწარმოებდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიმართულებით. საიას იურისტები ბენეფიციარებს ეხმარებოდნენ არა მხოლოდ ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში პირველადი რეაგირების (შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემა), არამედ, ასევე, მოძალადის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის კუთხით.

დაზარალებულთა ინტერესების დაცვის გარდა (მაგალითად, **თაკო გამრეკელაშვილის მკვლელობის საქმე**), ორგანიზაცია ასევე აწარმოებდა საქმეებს, რომლებიც ეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფოს არაეფექტური რეაგირების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ასეთია, მაგალითად, 2015 წელს მომხდარი შემთხვევა – მსხვერპლის თვითმკვლელობამდე მიყვანა. აღნიშნულ საქმეზე დადგენილია, რომ შემთხვევამდე მსხვერპლმა 16-ჯერ შეატყობინა პოლიციას ოჯახში ძალადობის შესახებ, რაზეც სამართალდამცავ ორგანოებს სათანადო რეაგირება

არ მოუხდენიათ. აქედან, ერთ შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის ფაქტზე დანყებულ იყო სისხლის სამართლის გამოძიება, რომელიც არაეფექტურად წარიმართა და მალევე შეწყდა. სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება მსხვერპლის თვითმკვლელობის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი იყო. აღნიშნულ საქმეში საია სახელმწიფოსაგან ითხოვს ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას.

● **დისკრიმინაცია**

დისკრიმინაცია დაბადების ადგილის მიხედვით. მეორე მსოფლიო ომის ვეტერან აფხაზეთიდან დევნილ პირს უარი ეთქვა პენსიაზე დანამატის სახით ყოველთვიურად 200 ლარის დანიშვნაზე – სწორედ მისი დევნილის სტატუსის გამო. აღნიშნულ დისკრიმინაციულ ჩანაწერს შეიცავდა ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. **საიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციული ჩანაწერის გაუქმება, ასევე, მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.** შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რომლითაც გაუქმდა ბიუჯეტის დისკრიმინაციული ჩანაწერი და, არა მხოლოდ საიას ბენეფიციარს, არამედ ყველა დევნილს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის საპენსიო დანამატი.

დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით.

საია 2015 წლის მარტიდან იცავდა აფხაზეთიდან დევნილი პირის ინტერესებს. სასამართლოში სარჩელი წარდგენილი იყო საქართველოს მთავრობის, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის იმ ნორმატიული აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლებიც მოქალაქეობის ნიშნით დევნილთა ერთი ჯგუფის პირდაპირ დისკრიმინაციას იწვევდა. კერძოდ, მაშინდელი რეგულაციის პირობებში, სამინისტრო არ განიხილავდა იმ დევნილი ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხს, რომელთა ოჯახის წევრს (წევრებს), საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, ჰქონდათ უცხო ქვეყნის მოქალაქეობაც (ორმაგი მოქალაქეობა). სარჩელის შეტანის მომენტისთვის, 218 დევნილი ოჯახის განაცხადი დარჩენილი იყო განუხილველად მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ოჯახის წევრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. **საიას მიერ სარჩელის წარდგენის შემდგომ, როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე მოპასუხე სამინისტრომ შეცვალეს სადავო აქტები და ამგვარი შეზღუდვები გააუქმეს.**

დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით.

საიას ბენეფიციარი იყო კერძო კომპანიაში დამლაგებლის პოზიციაზე დასაქმებული ქალი, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს სამუშაოს არასათანადოდ შესრულების მოტივით. საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ გაათავისუფლების მიზეზი რეალურად იყო საიას დაცვის ქვეშ მყოფი პირის ასაკი – 59 წელი. **სასამართლომ დააკმაყოფილა ასოციაციის მოთხოვნა, დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი და კომპანიას დააკისრა 10 000 ლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდა საიას ბენეფიციარის სასარგებლოდ.**



დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. 1) ვ.კ-ს სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაცია გაუუქმდა იმ საფუძვლით, რომ დეკლარაციის შევსებისას სოციალურ სააგენტოს არასრულყოფილი ინფორმაცია მიანოდა. საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ვ.კ-მ დეკლარაციის შევსების დროს სოციალურ აგენტს დეტალურად მიანოდა ყველა საჭირო ინფორმაცია, თუმცა, უსინათლობის გამო ვერ შეძლო, პირადად გასცნობოდა აგენტის მიერ შევსებულ დოკუმენტს, რომელსაც ხელი ნდობის საფუძველზე მოაწერა. **საიას მიმართვის შემდეგ სახალხო დამცველმა საქმეზე დაადინა დისკრიმინაცია და შესაბამის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებებით.**

2) საიას დახმარების თხოვნით მიმართა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, რომელიც აწყდებოდა სერიოზულ დაბრკოლებებს გარემოსთან კომუნიკაციის თვალსაზრისით – ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების არსებული წესის გამო. კერძოდ, 2016 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირებისთვის აიკრძალა სპეციალური საცნობი ნიშნის გაცემა შშმ პირთათვის ქალაქში განკუთვნილი პარკირების ადგილებით სარგებლობისთვის. **საიას მიმართვის საფუძველზე სახალხო დამცველის მიერ დადგინდა საკრებულოს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.**

● **გარემოს დაცვა**

დიღმის ტყე-პარკის საქმე. 2018 წლის ივნისში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოიცა ბრძანება თბილისში, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, სამშენებლო კომპანია „ანაგის“ მიერ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის თაობაზე. პარალელურად, დღემდე ძალაშია 2006 წლის 31 მარტს ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება, რომლითაც დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე იმპერატიულად იკრძალება სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

საიას დახმარებით, ააიპ „უსაფრთხო სივრცის“ ხელმძღვანელმა ანა გაბრიაძემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის მერიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ გადანყვეტილებას საია თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრებს.



სტრატეგიული სამართალდარღვევა საკონსტიტუციო სასამართლოში

დავით მალანის საქმე. აღნიშნულ საქმეში საია დავობდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე და 272-ე მუხლების არაკონსტიტუციურობის გამო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ზოგიერთ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ საჩივრდებოდა. საია მიიჩნევდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში პირს უნდა ჰქონოდა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ორი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლება. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა კი, არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იყო მიჩნეული სააპელაციო წესით გასაჩივრების შეზღუდვა იმ შემთხვევებში, როდესაც: 1) დადგენილება გამოტანილია მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისთვის (ქმედება სანქციის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას), მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის სახით გამოიყენა ჯარიმა. 2) ერთი ინსტანციის სასამართლოები განსხვავებულად განმარტავენ ნორმებს. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო წესით გასაჩივრება უნდა იყოს დაშვებული, მიუხედავად სამართალდარღვევის სიმძიმისა.



ნანა ფარჩუკაშვილის საქმე. 2018 წლის 26 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1-ლი აგვისტოს №200 ბრძანების ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა პატიმრის გაშიშვლებას. ამ საქმეში საია ამტკიცებდა, რომ პატიმრის სხეულში დამალული უკანონო საგნის (დანა, ნარკოტიკული საშუალება და ა.შ.) აღმოჩენა შესაძლებელია გაშიშვლების გარეშე, სკანერის მეშვეობით. ამასთან, გასაჩივრებული ნორმა არ ადგენდა, დღეში რამდენჯერ შეიძლებოდა გაშიშვლების ღონისძიების გამოყენება. გარდა ამისა, ბრძანებით ასევე არ იყო განსაზღვრული, რა შემთხვევებში ჰქონდა დირექტორს გაშიშვლების ღონისძიების გამოყენების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ნორმა არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის თაობაზე, ასევე, კონსტიტუციის მე-20 მუხლით აღიარებული პირადი ცხოვრების უფლებას.



სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ. 2018 წლის 31 მაისს ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა დადებითი გადაწყვეტილება საიას მიერ 2008 წელს წარდგენილ საჩივარზე. საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ მას, როგორც მსჯავრდებულს, არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში, რადგან იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა პატიმრებს ართმევდა აქტიური ხმის მიცემის უფლებას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და სასჯელის ხანგრძლივობის მიუხედავად.

სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობა, რომელიც პატიმრებს უკრძალავდა ხმის მიცემას, იყო ზოგადი, ავტომატური, განურჩეველი ხასიათის და ვრცელდებოდა ყველა მსჯავრდებულზე, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა, სიმძიმისა ან სასჯელის ხანგრძლივობისა. მართალია, 2011 წელს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი შეიცვალა და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულ პატიმრებს მიეცათ ხმის მიცემის უფლება,

თუმცა, ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია მომჩივნის სიტუაციაზე 2008 წლის 21 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მომჩივნის მიმართ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) დარღვევას.

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ამჟამად ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული 4 გადაწყვეტილებისა და 11 განჩინების აღსრულების პროცესს (ე.წ. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები). მათ შორის არის საიას წარმოებაში არსებული 3 საქმე: ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და სტუდია მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. მოცემული სამი საქმე შეეხება მომჩივნების სიცოცხლის უფლების ხელყოფას, არასათანადო მოპყრობას, ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლას და აღნიშნულ ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებების არაეფექტურობას.

საიამ, „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან“ (EHRAC) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში წარადგინა წერილობითი მოსაზრება ე.წ. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე საქართველოს ხელისუფლების მიერ ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების სახით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. წერილობით მოსაზრებაში საიამ მიმოიხილა აღნიშნულ საქმეებთან მიმართებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების, ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიების ეფექტურობის, სახელმწიფოს მხრიდან მოცემულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების/გან-

ჩინებების ეფექტურად აღსრულებისა და გამოძიების ეტაპზე დაშვებული ხარვეზების გამოსწორების საკითხები. აგრეთვე, გასატარებელ ზოგად ღონისძიებებთან მიმართებით საიამ ყურადღება გაამახვილა საქართველოში მოქმედი, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით რეფორმების გატარების აუცილებლობაზე.

გიგა ოთხოზორიას საქმე. 2018 წლის 11 იანვარს საიამ, პარტნიორ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან“ (EHRAC) თანამშრომლობით, საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საოკუპაციო ხაზთან მოკლული გიგა ოთხოზორიას საქმეზე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. საიამ ევროპულ სასამართლოში წარდგინდა საჩივარში ასაბუთებს მომჩივანთა მიმართ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევას.

დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისთვის, ასევე, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს რუსეთის ფედერაციას, როგორც აღნიშნულ ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს.

„რუსთავი 2“-ის საქმე. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საიას მოთხოვნა „რუსთავი 2“-ის საქმეზე სასამართლო მეგობრის სტატუსით ჩართვის თაობაზე და ორგანიზაციას

შესაძლებლობა მისცა, წარედგინა საკუთარი პოზიცია ზოგიერთ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოსაზრებები არ უნდა შეხებოდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და დავის არსებით ნაწილს. ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ წერილობით მოსაზრებებში საიამ მიმოიხილავს სამოქალაქო კოდექსის 85-ე და 89-ე მუხლებთან დაკავშირებით (იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე, საქმეთა განაწილების პრინციპთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტებსა და საქართველოს კანონმდებლობას.

ა. გ. საქართველოს წინააღმდეგ. 2018 წლის 9 აგვისტოს საიამ, EHRAC-თან თანამშრომლობით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა საჩივარი, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტს შეეხება.

საჩივარში საიამ ასაბუთებს ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევას. კერძოდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ქალის გარდაცვალების პრევენცია, მიუხედავად მსხვერპლის მიერ გარდაცვალებამდე პოლიციისთვის 16-ჯერ მიმართვისა და ვერ დაიცვა ქალი მეუღლის/ყოფილი მეუღლის მხრიდან განგრძობადი ძალადობისგან. ამასთან, სახელმწიფომ არ გამოიძია თვითმკვლელობამდე მიყვანა ფემიციდის თვალთახედვით, დანაშაულის გამოძიებისა და დასჯის პროცესში არ გაითვალისწინა გენდერულად სენსიტიური მიდგომები და საქმეში არსებული დამამძიმებელი გარემოებები.

ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრიორიტეტს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის დროული და ობიექტური ინფორმაციის გაზიარება წარმოადგენს.

#საიასგუნდი #მეაქვარ #ილაპარაკე


ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში გარე აქტორებთან კომუნიკაციის ნაწილში მთელი რიგი სიახლეები შემოიტანა, კერძოდ:

- ინდივიდუალური კომუნიკაცია მოქალაქეებთან;
- ინსტიტუციური კომუნიკაცია სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებთან ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- მედიასაშუალებებთან კომუნიკაცია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ორგანიზაციის კომუნიკაცია ეფუძნება და ღია, ამომწურავი, დროული და არგუმენტირებული ინფორმაციის მიწოდების პრინციპს და მოიცავდა 3 ძირითად ასპექტს: ინფორმირებას/მხარდაჭერას ინდივიდუალურ დონეზე, საჯარო ადვოკატირებას ინსტიტუციურ დონეზე და, ასევე, განათლებას/ცნობიერების ამაღლებას.

შემოაღნიშნული კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საიამ გააძლიერა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მიმართულება ადამიანური რესურსის დამატებით, განავითარა როგორც გარე, ისე შიდა კომუნიკაციის ფორმები და დაიწყო ახალი საკომუნიკაციო არხების გამოყენება. კერძოდ:

- დაიწყო რეგულარული კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხოური მედიისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.



აღნიშნული მიზნად ისახავდა საერთაშორისო საზოგადოების ჯეროვან და დროულ ინფორმირებას ქვეყანაში მიმდინარე მთავარ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე, მათ შორის, სახელმწიფოებრივად ისეთი სტრატეგიული თემების კონტექსტში, როგორცაა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. აღნიშნულმა საიას შესაძლებლობა მისცა, ერთი მხრივ, გამყარებულიყო ურთიერთობები ზემოხსენებულ აქტორებთან ორგანიზაციისადმი ნდობის ამაღლებისა და მეტი მხარდაჭერის მოპოვების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, მომხდარიყო ორგანიზაციის ამჟამინდელი პოზიციონირების ანალიზი საერთაშორისო არენაზე. დასახელებულ სამიზნე ჯგუფებთან ინტერაქციის შედეგად მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად დაეხმარება საიას, სწორად განსაზღვროს კომუნიკაციის სტრატეგია როგორც დაგეგმილი ორგანიზაციული რეფორმის, ასევე, შემდგომი 5 წლიანი სამოქმედო ციკლის ფარგლებში.

- შეიქმნა ორგანიზაციული საინფორმაციო ბიულეტენი „საიას საინფორმაციო ბიულეტენი“ / „GYLA Magazine“. საზოგადოებისთვის საიას გუნდის მიერ მიღწეული პროგრესის უკეთ მიწოდების მიზნით, გასულ წელს შემუშავდა ორგანიზაციული ბიულეტენი, რომელიც პერიოდულად – ყოველ 3 თვეში ერთხელ ქვეყნდება. დამატებით, გამოიცა სპეციალური თემატური ნომრები: „საია ქალთა უფლებებისთვის“ და „საია უკეთესი მმართველობისთვის“. ბიულეტენის ორენოვანი – ქართულ-ინგლისური ფორმატი საშუალებას იძლევა, ორგანიზაცია მისწვდეს უფრო ფართო აუდიტორიას, ამასთან, საიას სიახლეების შესახებ ინფორმირების გზით, შენარჩუნდეს ახლო კონტაქტები საიას წევრებთან.
- განვითარდა ორგანიზაციის ვებ-გვერდი მისი ინგლისურენოვანი ვერსიის ყოველდღიური განახლების თვალსაზრისით. ინგლისურ ენაზე საიას საქმიანობის ამსახველი პუბლიკაციების დროული ხელმისაწვდომო-

ბა ეხმარება ორგანიზაციას უცხოელ პარტნიორებსა თუ დონორებთან, ასევე, ყველა სხვა დაინტერესებულ საერთაშორისო აქტორთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვაში. გასულ წელს საიას ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა:

225 ბანსხაღაბა, მათ შორის,
120 ინდივიდუალური,
ხოლო 105 – კოალციური
ანდა ერთობლივი

11 საინფორმაციო ბიულეტენი,
მათ შორის 6 ორგანიზაციული,
ხოლო 5 – საარჩევნო

6 ბლოგი

12 ანგარიში/კვლევა

საიას ვებგვერდს თვეში, საშუალოდ,
10000-ზე მეტი უნიკალური ვიზიტორი
კვავს

- **გაიზარდა საიას პოზიციონირება სოციალურ მედიაში** ახალი ონლაინ პლატფორმების – **Twitter**-ისა და **LinkedIn**-ის ათვისებით. საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური მედიის Facebook-ის მხრივ კი, საია ლიდერია ხელმომწერთა რაოდენობით – 41 546. გარდა ამისა, გასულ წელს, **Facebook**-ისა და **Twitter**-ის ანგარიშების ინგლისურ ენაზე ადმინისტრირების დაწყებით, შესაძლებელი გახდა ორგანიზაციის გზავნილების მიტანა უფრო ფართო აუდიტორიამდე.

საია სოციალურ მედიაში

41 586 @GYLA.ge
517 @GYLA_CSO
396 საია/GYLA
2 135 საია GYLA

#საია #მეაქვარ #ილაპარაკე



ინ Search Home My Network Jobs Messaging

საია GYLA
 Leading NGO in Georgia, protected the rights of over one million & has changed policies & laws.
 View full profile
 + Follow
 2,054 Followers

როგორ მივიღოთ საია-ში უფასო სამართლებრივი კონსულტაცია?
 - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
 gyla.ge

1 Like · 1 Comment

Like Comment Share Top Comments

Add a comment...

Nino Nizharadze · 2nd
 Project Implementation Support
 5mo ...

საიას მთელ ჯგუფს, პროფესიონალური მიდგომის, დაულალავი მუშაობის და უწყვეტი სანდოობისთვის, მადლიერება ჩემგან, და დარწმუნებული ვარ არაერთი მოქალაქისგან. 🙌🏻 თქვენ მართლაც მანდომებთ, რომ დავიმატო ერთი პროფესიაც და გავხდე იურისტი.. 😊 (edited)

Like Reply | 1 Like

UK in Georgia @UKinGeorgia · Oct 28
 Very impressive Presidential #election observation operation @GYLA_CSO office in #Tbilisi. #Georgia Civil Society playing full part in delivering successful Democratic elections. #GVote2018 @JustinMcKenzie5



Jos Douma @Jos_Douma
 Follow

@DutchMFA strongly committed to more effective oversight
 @parliament_ge @ChugoshviliMP

GYLA @GYLA_CSO
 Very pleased to announce that #GYLA starts a new project thanks to the support from the Embassy of the #Netherlands in #Georgia 🇳🇱 The project aims to enable Parliamentary Oversight over Executive's Security Sector Secret Procurement. Thanks for your precious collaboration 🙌🏻 @Jos_Douma

7:43 AM - 4 Jun 2018 from Georgia

GNDEM Exchanges @gndemexchanges
 Following

GNDEM member @GYLA_CSO also observed the presidential election in #Georgia! Read their evaluation of election day below!
 #Gvote2018

GYLA @GYLA_CSO
 #Elections2018 #GVote2018
 Find #GYLA's General Evaluation of the Election Day of the 2018 Presidential Elections of #Georgia bit.ly/2PvxDCK

11:07 AM - 29 Oct 2018

Shalva Tsiskarashvili @tsiskarashvili
 Follow

Georgia's Young Lawyers' Association @GYLA_CSO & European #HumanRights Advocacy Centre @EHRAC_hq have filed a lawsuit against #Russia in the European Court of #HumanRights over a murder case committed by occupying RUS "border guard" in 2016 #Georgia #occupation @UNHumanRights

7:10 AM - 12 Jan 2018

მელთა

ორგანიზაცია უკვე წლებია ლიდერის პოზიციას იკავებს მედიაგაშუქების კუთხით. კვლევითი ორგანიზაცია „აიფიემ რისერჩის“ მიერ მონოღებული სტატისტიკის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საიას მედიაგამოვლინება შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ინტერნეტი 2 700

პრესა 260

რადიო 801

ტელევიზია 2 850

ჯამში
6 611

საზოგადოებრივი კამპანიები

- **ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა** – უკვე მეორე წელია, საია აწარმოებს კამპანიას **#ილაპარაკე**, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საჯარო შეხვედრები და დისკუსიები, მომზადდა ვიდეორგოლები და საინფორმაციო პოსტერები, დაგეგმილია მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება. **კამპანიის ფარგლებში საიამ განახორციელა ფოტო პროექტი, რომლის მიზანი იყო ფოტოების საშუალებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ემოციური განწყობებისა და იმ რეალობის ფართო საზოგადოებამდე მიტანა, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება.**
- **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილების მოთხოვნა** – საია ასევე აწარმოებს ადვოკატირების კამპანიას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილების მოთხოვნით. კამპანიის ფარგლებში გაიმართა საჯარო შეხვედრები და დისკუსიები, მომზადდა





სოციალური ვიდეორგოლი, რომელიც ქვეყნის ყველა მაუნციებლის ეთერში სამი თვის მანძილზე გადიოდა. გარდა ამისა, გაკეთდა პოსტერები და ინფოგრაფიკები, რომლებიც აქტიურად ტრიალებს ორგანიზაციის სოციალური არხების მეშვეობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის ფარგლებში:

- ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი რეგიონული ოფისების თანამშრომლებისთვის ტრადიციულ და ახალ მედიაში კომუნიკაციის სწორად წარმართვის თემატიკაზე;
- რეგულარულად ხდებოდა თანამშრომლებში ინფორმაციის ცირკულაცია დარგობრივი საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების/განცხადებების შესახებ;
- საიას გუნდის ცნობადობის ამაღლების მიზნით, ორგანიზაციამ დაიწყო ონლაინ კამპანია „გაიცანით საიას გუნდი“. აღნიშნული ფორმატის საშუალებით, აქტიურად ხდებოდა ფართო საზოგადოებისა თუ შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისთვის საიას გუნდის საექსპერტო გამოცდილებისა და ხედვების გაზიარება ამა თუ იმ

მწვავე საკითხებთან დაკავშირებით.

- შემუშავდა ორგანიზაციის საკომუნიკაციო გეგმის სახელმძღვანელო.
- შემუშავდა სოციალური არხების მართვის კონცეფცია.
- შეიქმნა ორგანიზაციის პოზიციონირების ანალიზის დოკუმენტი, როგორც ტრადიციულ, ისე ახალ მედიაში.
- გაიწერა კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორც უნდა გაძლიერდეს ორგანიზაცია კომუნიკაციის თვალსაზრისით.
- ჩატარდა ტრენინგები საჯარო გამოსვლებსა და მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით.
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანიების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიენოდა.

საია მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას ეფექტიანი კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით, როგორც შიდაორგანიზაციულ დონეზე, ასევე, სხვადასხვა გარე აქტორთან მიმართებით.

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მეშვეობით, აქტიურად მუშაობდა კვალიფიციური იურიდიული განათლებისა და პროფესიის განვითარების მიმართულებით. მნიშვნელოვანი იყო საიას საქმიანობა ასევე სამოქალაქო განათლებისა და მისი პოპუ-

ლარიზაციის კუთხით სკოლის მოსწავლეებს შორის.

ორგანიზაციამ დაიწყო საჯარო ლექციების ციკლი, რომელსაც უძღვებოდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და მონაწილეებს საინტერესო თემებზე საკუთარ ცოდნას უზიარებდნენ. სულ გაიმართა სამი საჯარო ლექცია:

ირაკლი სვალაბიანი

*ნარკომადგენლობითი დემოკრატიის კულტურა
1-ლ რესპუბლიკაში (1918-192166)*

ზვიად ქორიძე

ქართული დანაშაული და სასჯელი

ლამა ბულაძე

სენსურა ლიტერატურაში

ლექციების ციკლის გაშუქება და ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება ინტერნეტსააგენტო „ნეტგაზეთმა“ უზრუნველყო.

საიას იურიდიული განათლების ფონდის ეგიდით, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე არაერთი აქტივობა განხორციელდა ხარისხიანი იურიდიული განათლების ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ:

სასწავლო კურსები

33 კურსდამთავრებული

ღებატები

თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდი

**ნიმუშირებული
სასამართლო პროცესი**

საქალაქო და უზენაეს სასამართლოებში

ოლიმპიადა

ახალგაზრდები კონსტიტუციური უფლებებისთვის

სამოქალაქო განათლება

საქვირაო სკოლის 100 კურსდამთავრებული

**ნიმუშირებული
სასამართლო პროცესი**

3 საჯარო დისკუსია, 150 მონაწილე. თემაები:

- საქართველოს კონსტიტუციის ბიოგრაფია
- არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა
- ფინანსური პირამიდები – ეკონომიკური და სამართლებრივი უსაფრთხოების პრობლემა საქართველოში

ტრენინგები

2 ტრენინგკურსი. თემაები:

- უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა
- აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

სასწავლო კურსები

2017-2018 სასწავლო წელს ფონდს კურსების გავლის 40-ზე მეტმა მსურველმა მიმართა, რომელთაგანაც სამართლის კურსის სტუდენტის სტატუსი 33-მა ახალგაზრდამ მოიპოვა.

საჯარო და კერძო სამართლის გაერთიანებულ კურსზე სწავლება 6 თვის მანძილზე მიმდინარეობდა. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილებაც მიეღოთ. ფონდის სასწავლო კურსის მსმენელები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ფონდის



მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიებში, იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და დებატებში.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები და დიპლომები გადაეცათ. ასევე, გამოვლინდა ის სამი საუკეთესო სტუდენტი, რომლებსაც, ფონდისა და საიას ინიციატივით, შესაძლებლობა მიეცათ,

სტაჟირება გაეწიოს თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. გარდა ამისა, გამოვლინდნენ ის წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებსაც საშუალება ექნებათ, 2018-2019 სასწავლო წელს წინასწარ განსაზღვრულ თემებზე ჩაატარონ ტრენინგები ფონდის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაში.



დებატები

კონსტრუქციული დებატების კულტურის პოპულარიზაცია, სწრაფი აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარება, გლობალურ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ტექნიკის დაუფლება – ეს ის საკითხებია, რომლებიც საანგარიშო პერიოდში კვლავ საიას საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა.

დებატ-კლუბები ფუნქციონირებდა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. მიმდინარე ფორმატი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევდა, ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოეხდინათ სამართლებრივი

აქტუალური თემებისა და პრობლემების იდენტიფიცირება, ეფექრათ გამოსავლის გზებზე.

რეგიონულ დონეზე ჩატარდა შიდა შესარჩევი დებატების ტურნირი. გამარჯვებულებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ ეროვნულ ტურნირში. 2018 წლის 10 ივნისს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით გაიმართა საპარლამენტო დებატების ეროვნული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის გუნდებმა. დებატების ტურნირის გამარჯვებული გახდა ბათუმის გუნდი.





იმიტირებული სასამართლო პროცესები

სასამართლო პროცესებზე გამოსვლის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ფონდის სტუდენტების მონაწილეობით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი. კურსის მსმენელებმა ტრენერ-

თან ერთად გადაინაწილეს და მოამზადეს საქმე, შეადგინეს სამართლებრივი დოკუმენტაცია (სარჩელი, შესაგებელი, ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ). პროცესს ესწრებოდა კომპეტენტური ჟიური, რომელმაც მონაწილეები შეაფასა როგორც სამართლებრივი არგუმენტირების, ისე სასამართლო პროცესის წარმართვის უნარ-ჩვევების მიხედვით.



ოლიმპიადა – ახალგაზრდები კონსტიტუციური უფლებებისთვის

კონსტიტუციური სამართლის პოპულარიზაციის, საკონსტიტუციო სამართლის სფეროში ცოდნის გაღრმავების, საკონსტიტუციო სასამართლოს განაწევრებების პოპულარიზაციისა და სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ორგანიზაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ახორციელებდა პროექტს „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით.

ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა, რომლებიც დაკომპლექტებული იყო თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებით.



2017 წლის 10 დეკემბერს გაიმართა ფინალური ოლიმპიადა და გამოვლინდა 2017 წლის გამარჯვებული გუნდი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან.





სამოქალაქო განათლება

სკოლის მოსწავლეების სამოქალაქო და სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა, მისი პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეთა თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება-გაძლიერებისთვის, არამედ მას არსებითი როლი აქვს პიროვნული ზრდისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც.

საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლები ფუნქციონირებდა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. ოთხივე ქალაქის მასშტაბით, საკვირაო სკოლის აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სკოლის მოსწავლემ, რომლებსაც სასწავლო წლის დასრულების შემდგომ სერტიფიკატები გადაეცათ.

თეორიულ საკითხებზე მსჯელობის გარდა, საკვირაო სკოლის მოსწავლეები, ადგილზე ვიზიტების მეშვეობით, უშუალო გაეცნენ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციის როლსა და მნიშვნელობას. ვიზიტები განხორციელდა: საქართველოს ეროვნულ ბანკში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების მუზეუმსა და საქართველოს პარლამენტში, აგრეთვე, სახალხო დამცველის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენელთან და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიაში. 2312, 2313





საჯარო დისკუსიები/ ლექსიები

საანგარიშო პერიოდში გაიმართა 3 საჯარო დისკუსია, რომლებსაც დაესწრო 150-ზე მეტი სტუდენტი.

- „საქართველოს კონსტიტუციის ბიოგრაფია“ – დისკუსიის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა იმ სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც წინ უსწრებდა საქართველოში კონსტიტუციების გადასინჯვას.
- „არასამთავრობო სექტორის როლი და მნიშვნელობა“ – მონაწილეებმა დისკუსიის ფარგლებში იმსჯელეს, თუ რა როლი აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.
- „ფინანსური პირამიდები, ეკონომიკური და სამართლებრივი უსაფრთხოების პრობლემა საქართველოში“ – განხილული იყო ფინანსური პირამიდის სქემები, მომხმარებელთა უფლებები და ის სამართლებრივი თუ ფინანსური პრობლემები, რომელთა წინაშეც დაზარალებულები დგანან.

ტრენინგები

ადვოკატებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის ჩატარდა როგორც ადვოკატთა ასოციაციის მიერ აკრედიტირებული სასწავლო კურსები, ასევე, ტრენინგები.

სასწავლო კურსის – „უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები“ – ფარგლებში მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ ინფორმაცია საკანონმდებლო ბაზის ანალიზისა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების თაობაზე.

გარდა აკრედიტირებული ტრენინგისა, ფონდის ორგანიზებით ჩატარდა მოკლევადიანი სასწავლო კურსი „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“. კურსი რამდენიმე შეხვედრას მოიცავდა, სადაც უფლებების ქრილში განხილული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.


ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის 1-ლი ნოემბერი – 2018 წლის 15 ოქტომბერი




ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილია როგორც სხვადასხვა წყაროდან მიღებული გრანტის, შემონირულობისა და სანევროს სახით მიღებული თანხები, ასევე, განეული ხარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთო არასამთავრობო სექტორის გაძლიერების საქმეში. ამ კუთხით პრიორიტეტული გახდა სწორედ თემატური მიმართულებების მიხედვით ქვეგრანტების გაცემა და მათი ადმინისტრირება.

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს 2017 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2018 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდს, რომლის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემონირულობისა და სანევროს სახით მიღებულია 4,507,431.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



სანევრო	7,752.00
შემონირულობა	4,556.00

სხვადასხვა შემოსავალი	10,605.00
-----------------------	-----------



საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 127 თანამშრომელი, მათ შორის 55 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,851,059.00 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 276 პირზე – საერთო თანხით 306,193.00 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და ჰონორარებზე დაკავებული იყო საშემოსავლო გადასახადი – 463,650.00 ლარი.

ქვეგრანტის სახით, სხვადასხვა ორგანიზაციაზე გაცემულია 202,838.22 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 50,479.00 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 13,250.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 31,412.00 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის,

რის, რეგიონებისთვის – 3,115.00 ლარის ღირებულების.


ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 159,607.00 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 236,245.00 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 114,190.00 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციის კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 34,939.00 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 7,501.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 3,318,186.00 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



სანვერო 2,338.00

შემონირულობა 72.00

საქართველოს ახადგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2018 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

სულხან სალაძე – თავმჯდომარე
ნონა ქურდოვანიძე – თავმჯდომარის მოადგილე
თაია არაბული
ბესარიონ ბოხაშვილი
ირენა გაბუნია
თამარ გვარამაძე
თამარ გურჩიანი
მიხეილ დაუშვილი
ანა დოლიძე
ნათია კაპანაძე
კახა კოჭორიძე
ლევან მოსახლიშვილი
გიორგი სანტურიანი
ვენერა სუქნიძე
მიხეილ ლოლაძე
თინათინ შელია
ქეთევან შუბაშვილი
ლაშა ჩალაძე
სოფო ჭარელი
თამარ ხიდაშელი
ნინო ხუხუა

აღმასრულებელი დირექტორი

ირმა პავლიაშვილი

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი – ანნა მდინარაძე
ქუთაისის ფილიალი – ზაალ გორგიძე
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი – ქეთევან ბეზიაშვილი
თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი – ჯანო ჭკადუა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი

ფ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი

კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი

26 მაისის ქ. №13, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ზუგდიდის ოფისი

ლალიძის ქ. №3
(ყოფილი თაბუკაშვილის ქ. №21)
ტელ: + (995 415) 227770
ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge

